

**დამოუკიდებლობის გამოცხადება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება და განმტკიცება!**


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი-კვირა, 25 მაისი. 2023 წ. №59-60 (9591-9592) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




ირაკლი ღარიბაშვილი:

## ჩემი ვალდებულებაა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და ხალხის დაცვა ②

## „ვერ გაიგეთა, ქართველნო...?“



იხ. 4 გვ.

## თეა წულუკიანი: ჩვენს ქვეყანაში არავითარ ომიანობის საფრთხეს არ დავუშვებთ!

„ჩვენ ვართ მოწოდების სიმაღლეზე. მინდა, მოქალაქეებს კიდევ ერთხელ ვუთხრა, რომ არავითარი დესტაბილიზაციის და ომიანობის საფრთხე ჩვენს ქვეყანაში დაშვებული არ იქნება რისკის დონეზეც კი და არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ უპასუხისმგებლო და ქვეყნისადმი მტრულ განცხადებებს, რომელსაც გივი თარგამაძის მსგავსი უსამშობლო, ომის და არეულობის მომხრე ადამიანები გააკეთებენ“...



როგორც გივი თარგამაძემ განაცხადა: **„მარტის პროტესტის დროს ამბობდნენ, პოლიციის მანქანა როგორ დაწვესო, იმ დღეებში ნახევარი პარიზი გადაწვეს პენსიების გამო, ამაში არაფერია საშინელი, მატრაკვეცული მიტინგები შედეგს არ მოიტანს“.**

## 1989 წლის 26 მაისი ცხინვალში ⑤

ვისწავლოთ მეზობლებისგან!

## დიახ, ჩვენ მეტი ქართული ხორბლისა და ხარისხიანი პურის წარმოება შეგვიძლია



იხ. 6 გვ.

## მომეცი ნება, მიყვარდე ისე, როგორც უყვარდი, მამულო, ცოტნეს!



იხ. 7 გვ.

დემურ გადელიას ფსიქოლოგიური პორტრეტი



# მხოლოდ მთავარზე

## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ჩემი ვალდებულებაა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და ხალხის დაცვა

**ჩვენ თუ განვსჯით საქართველოს მუშაობას და მის დამსახურებას უკრაინასთან და მოლდოვასთან მიმართებით, ჩვენ ორივეს ვუსწრებთ, ორჯერ, სამჯერ,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კატარის ყოველწლიური ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე განაცხადა.

**...კვლავ ვიტყვი, რომ 20% კვლავ ოკუპირებულია. მინდა, გკითხოთ, კიდევ რა შეუძლია საქართველოს, გააკეთოს უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად? არ მინდოდა ამაზე საუბარი. უკრაინელი მეგობრები, შეიძლება, სხვა მოლოდინის მქონენი არიან. მათ საჯაროდ განაცხადეს, რომ უნდათ მეორე ფრონტის ნახვა საქართველოში. ჩვენ საკმარისად გვქონდა ომი, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 90-იან წლებში ორი ომი გვქონდა, სამოქალაქო და მერე, 2008 წელს – რუსეთთან. პატარა ერი, 4-მილიონიანი მოსახლეობით პირდაპირ შევიდა ომში რუსეთთან.**

**ჩვენ შევინარჩუნეთ უსაფრთხოება, მშვიდობა და სტაბილურობა. ეს არის მნიშვნელოვანი. ჩემი ამოცანა, ჩემი ვალდებულება არის ჩემი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა, ჩემი ხალხის დაცვა“!**

## რუსეთში მილიონი ქართველია, მგონი, პირდაპირი ფრენები ჩვეულებრივი ამბავია!

**ჩვენ არ გვითქვამს, რომ შევაჩერებდით ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს რუსეთთან. ბევრ ქვეყანას აქვს ფრენები რუსეთთან, მაგრამ ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ არცერთი სანქცირებული კომპანია, არცერთი სანქცირებული ავიახაზი არ იფრენს საქართველოში!**

პრემიერის თქმით, საქართველო ამ პოზიციას მტკიცედ შეინარჩუნებს.

ამერიკა არის ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი საქართველოსთვის და ძალიან მადლობელი ვართ ყველაფრისთვის, რაც ამერიკას გაუკეთებია ჩვენთვის და ევროპისთვის. ძალიან მადლიერი ვართ ევროპის მიმართ. საქართველოს აქვს სუვერენული უფლებები, ჰქონდეს საკუთარი ეროვნული ინტერესები. როგორც განვმარტე, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები გვაქვს რუსეთთან, მილიონი ქართველი გვყავს, ეთნიკურად ქართველი, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ დიასპორის სახით და პირდაპირი ფრენები რუსეთთან, მგონი, ჩვეულებრივი ამბავია. თან ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ რაიმე სახის პოლიტიკურ კონსულტაციებს ვაწარმოებთ რუსეთთან. როგორც ვახსენე, ეს არის ჩვენი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების შემადგენელი, ისევე, როგორც ევროკავშირი და ამერიკა ამას აკეთებს რუსეთთან.

## მე მშვიდობის ადამიანი ვარ

**...ჩინეთთან მიმართებით ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს. თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება გვაქვს, ვზრდით ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებს. ჩინეთი ამ კრიზისის განმავლობაში ცდილობს მედიაციას უკრაინასა და რუსეთს შორის. მგონი, ძალიან ჭკვიანური მიდგომაა. ნამდვილად მისასალმებელი ნებისმიერ ძალისხმევას ნებისმიერი ქვეყნისგან, ნებისმიერი ლიდერისგან, რომელიც მშვიდობისკენ, მოლაპარაკებებისკენ უბიძგებს ქვეყნებს და გარკვეულ ძალისხმევას განახორციელებს“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კითხვაზე, მხარს უჭერს თუ არა ჩინეთის ინიციატივას, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა: **„მე ზოგადად ვამბობ. მე მშვიდობის ადამიანი ვარ, სტაბილურობისა და მოლაპარაკებების მჯერა“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## სტრასბურგის სასამართლომ სააკაშვილს უარი უთხრა ყველა თხოვნაზე!

**არ მინდა ყოფილ პრეზიდენტზე საუბარი, რადგან ის არის წარსული. მინდა, ვისაუბრო აწმყოზე, მომავალზე, უფრო საინტერესო ეს არის ჩვენთვისაც და დარბაზისთვისაც, მაგრამ რადგან მკითხეთ, მოკლედ გიპასუხებთ. ყოფილმა პრეზიდენტმა, სააკაშვილმა ბევრი შეცდომა დაუშვა. მძიმე დანაშაულები ჩაიდინა, ამიტომ არის ციხეში, ციხეშიც კი არ არის, არამედ კლინიკაში...**

კატარის ყოველწლიური ეკონომიკური ფორუმის პანელურ დისკუსიაზე საქართველოს პრემიერს ჰკითხეს: **„ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ამ სავარძელში იჯდა და საუბრობდა ევროკავშირსა და სხვა მიმართულებებზე, ახლა ციხეშია. ევროკავშირს უნდა, რომ გათავისუფლდეს. თქვენ რატომ არ აკეთებთ ამას?“**

**„სააკაშვილი უკვე ერთი წელია, კერძო კლინიკაშია. ძალიან ბევრი სპეკულაცია და ყალბი ინფორმაცია ვრცელდება ამის შესახებ. მისი ოჯახი ხარჯავს მილიონობით დოლარს ბოლო ორი წლის განმავლობაში და აბრალებს საქართველოს მთავრობას, ვითომ ვწამლავთ, ვითომ ვტანჯავთ, ვითომ ვაწამებთ. საქმე წაიღეს სტრასბურგში, ადამიანის უფლებების სასამართლოში. სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლომ უარი უთხრა ყველა თხოვნაზე და კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რასაც ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს მთავრობა აკეთებს ყველაფერს მისი ჯანმრთელობის პირობებზე ზრუნვით და ევროპული სტანდარტებით აკეთებს ამას ყველაფერს“,** – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პანელური დისკუსიისას ღარიბაშვილს ასევე ჰკითხეს, ხედავს თუ არა რისკს, რომ სააკაშვილი დაიღუპოს კლინიკაში.

**„არ მინდა, ამაზე კომენტარი გავაკეთო. ყველა ადამიანს, ყველა პატიმარს ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და რაც გითხარით, იმას გავიმეორებ – ვიცავთ ყველა ადამიანის, ყველა მოქალაქის უფლებებს, ყველა პატიმრის უფლებებს“!..**

## ჩვენი ომი არ არის ომი და უკრაინაში არსებული ომი ომია? სად არის ლოგიკა?

**2008 წელს გვქონდა ომი, გახსოვთ ვინმე, ვინც სანქციები დააწესა რუსეთის წინააღმდეგ, ჩვენი ომი ომი არ არის და უკრაინაში არსებული ომი ომია? სად არის ლოგიკა?** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კატარის ყოველწლიური ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე განაცხადა.

ღარიბაშვილის თქმით, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთთან ბიზნესს ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდნენ აშშ და ევროპა.

**„საქართველოს ეკონომიკა დაინგრევა, ჩვენ ზიანს მივაყენებთ ჩვენს ხალხს, თუ ორმხრივ ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთ რუსეთს.**

**მე უნდა ვთქვა, რომ ძალიან იმედგაცრუებული ვიყავით, რომ ბიზნესი ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობდა რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ. იმ დამანგრეველი ომის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს კვლავ რუსეთს, რუსეთმა ორი სამხედრო ბაზა ააგო ჩვენს ისტორიულ მიწაზე, რუსეთმა აღიარა ე.წ. დამოუკიდებლობა ჩვენი ისტორიული რეგიონებისა და ეს ოკუპაცია კვლავ გრძელდება.**

**ამიტომ ჩემი კითხვა ევროპელი, ამერიკელი მეგობრებისადმი არის შემდეგი: ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თქვენ აგრძელებდით ბიზნესს ჩვეულებრივ რეჟიმში რუსეთთან, სანქციები არ გქონიათ დაწესებული. ევროკავშირმა რუსეთს 2022 წლამდე გადაუხადა 2,3 ტრილიონი დოლარი, არავის გაუჩერებია ბიზნესი რუსეთთან, არაფერი მომხდარა. ამ სიტუაციაში კიდევ ერთხელ მინდა, დავადასტურო, რომ მხარს ვუჭერთ უკრაინას, უკრაინელ ხალხს. გვინდა, ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს. ჩვენ მივუერთდით 500-ზე მეტ რეზოლუციას, განაცხადს ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე და სრულად შევესაბამებით საერთაშორისო სანქციებს. სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ საქართველოს ფინანსური ინსტიტუტები, ეროვნული ბანკი სრულად შეესაბამება ფინანსურ სანქციებს.**

**რაც შეეხება ეკონომიკურ სანქციებს, რუსეთთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ერთ მილიარდ დოლარზე ნაკლებია. შედარებისთვის, ევროკავშირი მხოლოდ ოთხ დღეში იმას ვაჭრობს, რასაც ჩვენ მთელი წლის განმავლობაში. ეს სასაცილოა, ხომ? რუსეთის სავაჭრო ბრუნვაში ჩვენი წილი 0.3 პროცენტია და ლოგიკა არ არსებობს. ეს დაანგრევდა, დააზიანებდა ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ჩემი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“,** – დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ირაკლი კობახიძე: დანილოვი პირდაპირ ითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას!



**პრემიერს ჰქონდა არაჩვეულებრივი გამოსვლა, ყველა აქცენტი გაკეთდა, რაც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტებს, მის პოლიტიკას, მათ შორის შეეხო ისეთ მნიშვნელოვან თემას, რაც დაკავშირებულია უკრაინაში მიმდინარე ომთან და ჩვენს ურთიერთობებთან, მათ შორის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან...**

კობახიძის თქმით, საქართველოს პოლიტიკა არის ძალიან მკაფიო.

**„ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინას, უკრაინელ ხალხს და ეს არის გამოხატული არა მარტო სიტყვებით, არამედ კონკრეტული ქმედებებით. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა შესაბამის დოკუმენტს, სადაც დაგმობილია სამხედრო აგრესია და სადაც არის მხარდაჭერა გამოხატული უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. ამასთან, ჩვენი პოზიცია მკაფიოა სანქციებთან დაკავშირებით. ჩვენ არ ვაწესებთ სანქციებს რუსეთის მიმართ. ლოგიკა არის მარტივი. ჩვენ ვერ დავსჯით საკუთარ ხალხს, საკუთარ ქვეყანას. აქედან გამომდინარე, სანქციები, ბუნებრივია, არ განიხილება. შეგახსენებთ, რომელი თანამდებობის პირები ითხოვდნენ ღია ტექსტით საქართველოში მეორე ფრონტი გახსნას. ეს იყო უშიშროების საბჭოს მდივანი. ამაზე მაღალი თანამდებობის პირი პრეზიდენტის შემდეგ არ არსებობს. დანილოვი პირდაპირ ითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას; მეორე, პოდოლიაკი, რომელიც გახლავთ დღემდე ზელენსკის მთავარი მრჩეველი. ის პირდაპირ საუბრობდა საქართველოში მეორე ფრონტის გახსნაზე. ამ ფაქტის კონსტატაცია მოხდა ქვეყნის გარეთ, რაზეც ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ქვეყნის შიგნით. მგონი, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო საზოგადოებამ იცოდეს ყველაფერი იმასთან დაკავშირებით, თუ რას ითხოვენ ჩვენი ქვეყნისგან, მათ შორის უკრაინელი მაღალჩინოსნები. ეს არის ძალიან მძიმე, მაგრამ ეს მძიმე ინფორმაცია უნდა იყოს გაზიარებული ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვისაც“,** – განაცხადა კობახიძემ.

# ლიბერალური დემოკრატია – ჩვენთვის უცხო და მიუღებელი

**ლიბერალური** დემოკრატია, ასევე დასავლური დემოკრატია – პოლიტიკური იდეოლოგია და მმართველობის ფორმაა, სადაც წარმომადგენლობითი დემოკრატია მოქმედებს კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებით. ლიბერალიზმი, მსოფლიოში მეტად წარმატებული იდეოლოგიაა, რომლის მიხედვით ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი საკუთარი ღირსებებით და უფლებებით, ადამიანის პიროვნული თავისუფლება არის ძირითადი პოლიტიკური ღირებულება.

XX საუკუნეში ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოში გაბატონებული პოლიტიკური სისტემა გახდა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კონსტიტუციური ფორმა და განსაზღვრავდეს სახელმწიფოს დემოკრატიულ ხასიათს.

ლიბერალურ დემოკრატიას უმეტესად ვხვდებით ევროკავშირის და სხვა ქვეყნებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (იაპონია, ტაივანი, ინდოეთი, სამხრეთ კორეა). არადემოკრატიული მმართველობა და დიქტატურა, უფრო მეტად გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

ბოლო დროს მსოფლიოში ადგილი აქვს ავტოკრატიზაციის ზრდას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ამ პროცესების პარალელურად, მსოფლიოს ქვეყნების 55%-ში კვლავ დემოკრატია მოქმედებს. საქართველო მოხვდა იმ 21 სახელმწიფოს შორის, რომლებმაც ბოლო 10 წლის განმავლობაში პოზიტიური ნაბიჯები გადადგეს დემოკრატიისკენ.

ლიბერალური დემოკრატიისთვის დასავლეთი საუკუნეები ემზადებოდა. ჩვენთან, ბევრისთვის მის ზოგიერთ ფუნდამენტურ ფასეულობებსა და მიზნებში ჯერ კიდევ მრავალი რამ უცხო და მიუღებელია, და ასე იქნება მანამ, სანამ საქართველოში ერთი სასამართლო პროცესი მაინც არ ჩატარდება, სადაც ქალი მამაკაცს დაადანაშაულებს, რომ თურმე ამ უკანასკნელმა 30 წლის წინათ მისი უფლებები დაარღვია და სექსუალურად შეავიწროვა ან, მანამ, სანამ სიონის ეკლესიაში მამაკაცი მამაკაცზე ჯვარს არ დაიწერს.

ასე რომ, ლიბერალურ დემოკრატიას საქართველოში ახლო მომავალში რა ბედი ელის, ჯერ კიდევ უცნობია. ამიტომ, იქნებ ამჯერად, „არალიბერალური დემოკრატიით“ (უნგრეთი, ვ. ორბანი) დავკმაყოფილდეთ!..



**ბონდო ქობულია,**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ფსიქოლოგ-პოლიტოლოგის რამაზ საყვარელიძის აზრით, ამერიკული ელიტის მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესი არ ჩანს. ამ ეტაპზე აშშ-ს ინტერესი მხოლოდ აკრძალვებში ჩანს, რაც პოლიტოლოგს აფიქრებინებს, რომ ამერიკა ჯერჯერობით ნაკლებად არის დაინტერესებული საქართველოთი და შეიძლება მხარი დაუჭიროს აქ რუსეთის ინტერესების გატარებას. მისი თქმით, თუკი გავითვალისწინებთ, „ნაციონალურ მოძრაობაში“ რამდენი ადამიანია რუსეთთან მიბმული როგორც პასპორტით, ასევე ბიზნესით, სახელფასო თუ სხვა ტიპის შემოსავლებით, არ არის ძნელი წარმოსადგენი, რომ ისინი რუსულ ინტერესებს ატარებენ.**



# რამაზ საყვარელიძე: მიდის საქართველოზე გამავალი გზებისთვის ბრძოლა, როგორც ამ გზების ასაფეთქებლად, ისე შესანარჩუნებლად

**12-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს ოპოზიციის ჩართულობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის პროცესში, რისთვისაც საჭიროა 90 ხმა. სწორედ ამ პროცესმა გამოავლინა, როგორ ცდილობს ოპოზიცია ხელი შეუშალოს კანდიდატის სტატუსის მიღებას. როგორ ფიქრობთ, რატომ არის დაინტერესებული ქვეყნის შიგნით ოპოზიცია და ასევე, მათთან დაკავშირებული საერთაშორისო ძალები, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი? უხეშად რომ ვთქვათ, მიმდინარეობს თუ არა სპეცოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ?**

— სპეცოპერაციის და იმის განცდა, რომ ეს არაა მხოლოდ შიდა პოლიტიკური ბრძოლა, ნამდვილად ჩნდება, რადგან ეს რომ შიდა პოლიტიკური ბრძოლა იყოს, მოხდებოდა ის, რასაც ჩვენი პარტნიორი ქვეყნები ხშირად გვეუბნებიან — შევთანხმდებოდით საერთო პოზიციებზე. ვხედავთ, ვერ თანხმდებიან პარტიები საერთო პოზიციებზე და ძირითადად, იმის გამო, რომ დასავლეთისთვის ხელსაყრელი პოზიცია, როგორც წესი, იშვიათად აწყობს, მაგალითად, რუსეთს. ამიტომ ჩნდება ეს განცდა, რომ რუსული პოლიტიკის გატარებას ცდილობს გარკვეული ჯგუფი. ნუ გამოვრიცხავთ, რომ რასაც აბრალებენ ხელისუფლებას, იმას აკეთებენ თვითონ ოპოზიციის წევრები.

თუკი გავითვალისწინებთ რამდენი ადამიანი არის „ნაციონალურ მოძრაობაში“ რუსეთთან მიბმული გინდ პასპორტით, გინდ ბიზნესით, გინდ სახელფასო, თუ სხვა ტიპის შემოსავლებით, არ არის ძნელი წარმოსადგენი, რომ ისინი რუსულ ინტერესებს ატარებენ. თუკი შემცირდება ევროპასთან კავშირები, დავუშავათ, საქართველოს არ მიეცა კანდიდატის სტატუსი, ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის პოზიციას გააძლიერებს. ჩვენ აბსტრაქტულად ვამბობთ ხოლმე, რომ რუსეთი ჩვენი მტერია და ამიტომ ჩვენთვის ცუდი რაც იქნება, ის უხარია რუსეთს. არა მარტო ეს მარტივი სქემა მოქმედებს, არამედ რუსეთს მართლა აინტერესებს, რომ საქართველოზე გამავალ ტრანზიტებზე ევროპას კონტროლი არ ჰქონდეს. რაც უფრო მეტი საერთო ექნებათ საქართველოს და ევროპას, ჯერ კანდიდატობა და მერე წევრობა, ეს ნიშნავს, რომ ევროპა დაიცავს სატრანზიტო ხაზებს, რომელიც მიდის თვითონ ევროპასთან და ამ ხაზების ჩაშლა აწყობს რუსეთს, რადგან ეს ხაზები მას უნდა.

**— ამ სქემაში, რომ რუსეთმა ჩაშალოს ეს სატრანზიტო ხაზი, ამაში მას ეხმარება შიდა ძალები — ქართული პოლიტიკურ ელიტას ვგულისხმობ და ასევე გარე ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ არ მოხდეს საქართველოს ევროპასთან მიბმა? ევროპელი მაღალჩინოსნების განცხადებები და ქმედებები მიგვანიშნებს, რომ ისინი ცდილობენ თავიანთი ქმედებით დაგვაშორონ ევროპას და დაგვაახლოონ რუსეთს...**

— სამწუხარო რეალობა იშლება, ოღონდ მოულოდნელი არა. ჩვენთან ძალიან ხშირად მძაფრი რეაქციაა ხოლმე იმაზე, რომ აი, ახლა არიან ქართველები, რომლებიც ქუჩებში




დადიან და სხვა ქვეყნის ინტერესს ატარებენ. უკაცრავად და საქართველოში მცხოვრები იყო ის ადამიანი, ვინც სპარსელებს შეატყობინა, რომ მეფე ერეკლეს მხოლოდ ექვსი მეზარბაზნე ჰყავდა, რამაც შემოატრიალა ომის ბედი. ყველა ქვეყანაში არის ეს საფრთხე და მით უფრო ჩვენს ქვეყანაში, რომ არიან სხვა ქვეყანაზე მომუშავე ადამიანები.

რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, როგორც ჩანს, იკვეთება, რომ ქვეყნის შიგნით მოქმედი ძალები რაღაცას აკეთებენ სხვა ქვეყნის სასარგებლოდ. დავაკვირდეთ, რას გაიძახის ოპოზიცია — „ქართული ოცნება“ მოქმედებს სხვა ქვეყნის სასრგებლოდო. ანუ, ოპოზიცია მიხვდა, რომ ეს არის სერიოზული ბრალდება და მისი პოლიტიკურად გამოყენება შეიძლება. „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ამას ვერ მიხვდა და მარტო იმას ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა მეთოდით იბრძვის ხელისუფლებაში მოსასვლელად. ხელისუფლებაში მოსასვლელად კი არ იბრძვის, არამედ სხვა ქვეყნის პოლიტიკური დაკვეთის შესასრულებლად იბრძვის და ეს ცოტა სხვა რამეა.

**— ეს სხვა ქვეყანა არის რუსეთი, რომელმაც 2003 წელს მხარი დაუჭირა „ნაციონალურ მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლას?**

— და, რომლებმაც გაამყარა „ნაციონალური მოძრაობის“ იმდროინდელი მდგომარეობა. კი ბატონო, იყო ეს ფურცელი და გადაიშალა, მაგრამ შემდეგ ფურცელზე გადავიდეთ — ოპოზიცია იძახის, რომ ხელისუფლება არის რუსეთის მომხრე, იმიტომ, რომ ივანიშვილს მილიარდები რუსეთში აქვს ნაშოვნი. კი ბატონო, შევადაროთ და თქვენ მაგალითად მოიყვანეთ 2003 წლის ნაბიჯები, რომელიც ყველამ ვიცით, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ რუსეთთან სიახლოვის შესახებ კიდევ უფრო მეტი ნაბიჯის მოყვანა შეიძლება, მათ შორის ომის წამოწყება, 5-დღიან ომში წაგების შემდეგ მთელი სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა და ა.შ.

ოპოზიციის მიერ გვაქვს ბრალდება, რომ რუსეთის მიერ ხელისუფლების სათავეში მოყვანილია ბიძინა ივანიშვილი, გადავხედოთ ფაქტებს და დავასახელოთ ერთი ფაქტი მაინც, როცა ივანიშვილის პარტიის გავლენით რუსეთისკენ რაღაცა ნაბიჯი გადაიდგა. ერთადერთი, ასახელებენ იმ კრეტინული კანონის შემოტანას, იმიტომ, რომ მაგ კანონის შემოტანის აუცილებლობა არ იყო და საერთოდ, ეს ბრალდებაც არ არის დიდად ჭკვიანური, რადგან კანონების საშუალებით ქვეყნის დამორჩილება რუსული პრაქტიკა არ გახლავთ.

იმ კანონის მიღების შემთხვევაში რუსეთის ნაწილი გავხდებოდით თუ არა, ესეც ღიმილის მომგვრელია, რადგან თბილისიდან 40 კილომეტრში გვყავს რუსეთის საოკუპაციო ჯარი და რად სჭირდება მას კანონი? ამ ფონზე სასურველია უფრო მკაფიოდ ამოტივტივდეს დისკუსია — ვინ, რა ხერხებით და რა შემადგენლობით მუშაობს სხვა ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ. ასევე, რატომ არის გამორიცხული, რომ იგივე ევროპაში და ამერიკაშიც ვიღაცა მუშაობდეს რუსეთის ინტერესებზე? როგორ ფიქრობთ, რუსებს ლობირება არ შეუძლიათ, ან არ აქვთ ამის პრაქტიკა? უზარმაზარი ლობისტური ლაშქარი ჰყავს რუსეთს თავისი ინტერესების გასატარებლად იგივე ევროპაში. ამიტომ, აუცილებელია ფარდა აეხადოს ინფორმაციას - ვინ, რა ფარული ხერხებით იბრძვის მსოფლიო მასშტაბით.

**— ჩვენს შემთხვევაში ბრძოლის რა ფარული ხერხები იკვეთება? ამ შემთხვევაში ბრძოლის მიზანია საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი...**

— ეს ერთ-ერთი მიზანია და რამდენხნიანია ეს ბრძოლა, კაცმა არ იცის. იმიტომ მოგახსენეთ, რომ ნელ-ნელა საერთაშორისო პროცესებში ერთვება ჩინეთი. ისევე როგორც ევროპას არ აწყობს ჩვენი სატრანზიტო ხაზის მოქცევა რუსეთის გავლენის ქვეშ, ჩინეთსაც არ აწყობს კავკასიური სატრანზიტო ხაზის, თვითონ რომ აბრეშუმის გზას ეძახის, იმის მოქცევა რუსეთის გავლენის ქვეშ.

**— ჯერჯერობით არ ჩანს, ჩინეთი რამე ნაბიჯებს დგამს თუ არა ამ ხაზის დასაცავად...**

— იმიტომ, რომ ეს ის ხაზია, რომლითაც ჩინური პროდუქცია გადის ევროპაში. ასე რომ, როგორც ევროპის, ისევე ჩინეთის ინტერესშია ამ სატრანზიტო ხაზის დაცვა. მე ვვარაუდობ, რომ ჩინეთს ასეთი ნაბიჯები უკვე გადადგმული უნდა ჰქონდეს და სავარაუდოა ისიც, რომ ასეთი ნაბიჯებისკენ ცვლილებები უცბად არ მოხდება, მაგრამ ნელ-ნელა რაღაცა ცვლილებებისკენ წაიყვანს პროცესებს ჩინეთი, თუ გაგრძელდა რუსეთის ევროპული ეკონომიკისკენ იზოლაციის პერიოდი კიდევ დიდხანს.

ასე რომ, ჩვენ გარეთ მიდის როგორც ჩვენზე გამავალი გზებისთვის ბროლა, როგორც ამ გზების ასაფეთქებლად, ისე ამ გზების შესანარჩუნებლად. ეს საქართველოს სიძულვილის, ან სიყვარულის ბრძოლა არ არის. ჩვენ ყველაფერი ემოციებში გადაგვაქვს, ის მეგობარია, ის მტერია, მაგრამ ჩვენ არც მეგობრები გვყავს და არც მტრები. ჩვენ გარშემო არიან სახელმწიფოები, რომელთა ინტერესი გადის ჩვენს მიწა-წყალზე. საქართველო ამჟამად არის ევროპის, ჩინეთისა და რუსეთის ინტერესებში.

**— საინტერესო დამთხვევაა, გასულ კვირას ვუმასპინძლეთ ევროპელ მინისტრებს, ჩინეთმა გაიყვანა რკინიგზა, რუსეთმა ფრენები აღადგინა და ამის ფონზე საინტერესოა ამერიკის ჩართულობა, რომლის ინტერესი მხოლოდ აკრძალვებში ჩანს. ეს გაფიქრებინებთ, რომ ამ ეტაპზე ამერიკისთვის ნაკლებად საინტერესოა საქართველო და შესაძლოა, მხარი დაუჭიროს აქ რუსეთის ინტერესების გატარებას?**

— არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოსთან მიმართებაში, ამერიკის და რუსეთის ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს და ვიცი, რომ ბევრისთვის ეს მკრეხელობაა, მაგრამ თუ 2003 წლის ვარდების რევოლუციის ისტორიას გავითვალისწინებთ, მაშინაც საქართველოს და ამერიკის ინტერესები ემთხვეოდა ერთმანეთს და მათ შეძლეს პროცესის ისე წაყვანა, რომ ერთმანეთს შეუწყვეს ხელი — ამერიკის ელჩი მაილსი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი აგებდნენ ვარდების რევოლუციის სურათს ისე, როგორც ეს სჭირდებოდა ერთსაც და მეორესაც. ამიტომ ჩამოიყვანეს იგორ ივანოვი.

დღეს ბევრი ანალიტიკოსი, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ კრიტიკული თვალი და არ აჰყვნენ ამა თუ მხარის პროპაგანდას, ვარაუდობენ, რომ შეიძლება ამერიკა უფრო არის უკრაინის ომით დაინტერესებული, ვიდრე ევროპა. იმდენად, რამდენადაც უკრაინის ომი როგორც არ უნდა დამთავრდეს, ამერიკას არაფერი დაემართება, თავისთვის არის კონტინენტზე გასული და ამ დროს უკრაინის ომის პროცესები ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპაზე. უკვე ვნახეთ, რომ ევროპის ქვეყნებს ამერიკასთან პრეტენზიები გაუჩნდათ და წარმოიდგინეთ პოლონეთსაც კი. საქმე ისაა, გაჩნდა ზოგადი ფორმულა, რომ ამერიკა არ უწევს ანგარიშს ამ ქვეყნების ინტერესს და სუვერენიტეტს.

**ჩინეთისა და ევროპის ურთიერთობაში ამერიკა რა როლს ითამაშებს, ეგ უკვე სხვა საკითხია. ჩინეთისა და ევროპის მხრიდან ველოდები პოზიტიურ იმპულსებს კავკასიისკენ და კერძოდ, საქართველოსკენ. ამერიკული იმპულსები შეიძლება ასეთი პოზიტიური არ იყოს, თუკი ამერიკა აირჩევს კონფრონტაციის გზას. ოღონდ მეეჭვება ეს დიდხანს გაგრძელდეს, რადგან არასწორი, არალოგიკური და სულელური იდეა იქნება, რომ დაუპირისპირდეს ყველას მსოფლიოში.**

იხ. 6 გვ.

# „ვერ გაიგეთა, ქართველნო...?“

**სათაურში გამოტანილი სტრიქონი ერთი ქართული ხალხური ლექსიდანაა, რომელიც ახლა, არც თუ უმიზეზოდ, გამახსენდა. აი, ის ლექსი:**
**„ვერ გაიგეთა, ქართველნო,**
**შაგეხსნათ რკინის კარია,**
**აღარ გყავთ მეფე ერეკლე,**
**ბაგრატიონთა გვარია!“**

ის მიზეზი კი, რამაც ეს ლექსი გამახსენა, ისაა, რომ ვერც დღევანდელი ქართველების ერთმა ნაწილმა გაიგო, რა საფრთხის წინაშე დგანან, რაც „რკინის კარის ჩამოხსნაზე“ უარესია.

ახლა ისიც ვთქვათ, სატირული იუმორი რა „ფრუქტია“, იჭმება თუ ისმება? მართალი გითხრათ, ამ კითხვის ზუსტი პასუხი არ მაქვს, მაგრამ ერთი ფშაური ლექსის ავტორს უნდა ვენდო: **„ვერა რა მარგო ტირილმა,**
**დარდმა და ცრემლის დენამა,**
**მიშველა ისევ სიცილმა**
**ლაქარდიანმა ენამა“.**

ერთი ამასაც ვცდი, რა ვიცი, იქნებ ივარგოს... აქ ძნელი არაფერია: ყველა სერიოზული ამბავი სასაცილოდ გამოჩნდება, თუ მას შესაბამისი რაკურსით შეხედავ. ჩვენში ეს ყველაზე ადვილია. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას რომ ვუცქერი, განსაკუთრებით პარლამენტში გამართულ დებატებს, შენს ქვეყანაზე გული თუ არ შეგტკივა, უკეთეს სასაცილო სანახაობას ვერც ინატრებ. ჰო და, მეც ჩემი ისტორიული წინაპრების სადაუროზას გავიხსენებ და როგორც ფრანგი ისე შევხედავ დღევანდელ საქართველოს, ვიცინებ და იქნებ, თქვენც გაგაცინოთ. მართალია, დღევანდელ ფრანგებს ჩვენზე ნაკლები უბედურება როდი სჭირთ, მაგრამ მე, როგორც ყოფილ ფრანგს, საქართველოს, ანუ, სხვისი ჭირი ღობის ჩხირად შემიძლია, მივიჩნიო და გულიანად ვიღადაო...

მე ისევ ფშაური ლექსი მახსენდება, რომელიც სადღეისო მდგომარეობის შესაბამისი რედაქციით უნდა შემოგთავაზოთ:
**„ვერ გაიგეთა, ქართველნო,**
**ხოშტარია რომ მტერია,**
**მელია – ბნელია, თაკო – ტაკოა,**
**კუპონა ხომ კუპონაა, ხაზე კი ჰა-ჰა-ჰა...“**
**და ა. შ.**

ეს რომ გაგეგოთ, ვიღაცა მშვილდაძის ბღავილისა და ასევე ვიღაცა უგულავას ხავილის მოსასმენად რუსთაველზე კი არ მოიყრიდით თავს, შინ ან მეგობრებთან ლუჩანო პავაროტისა თუ პლაჩიდო დომინგოს, ზურაბ ანჯაფარიძესა თუ ჰამლეტ გონაშვილს, ანდა სულაც ჩელენტანოს მოუსმენდით, მაგრამ, რა გინდათ, რა? მათი სიმღერების შინაარსის გაგებას ტვინისა და გულის კავშირი სჭირდება, ხოლო გია ბუღაძისა და ჭიჭე ვაშაძის ბოდვის გაგებას არც ტვინი სჭირდება და არც გული, ყურიც საკმარისია, მით უფრო ორი თუ გაქვს: ერთში შეუშვებ, მეორედან გამოუშვებ. რაიმეს გაგება და დამახსოვრება (რასაც, სხვათა შორის, ცოდნა ჰქვია!) არ გჭირდებათ, თქვენს მაგივრად თქვენი აქაური თუ იქაური ბოზები (ბოდიში ბოსები) ფიქრობენ, თუ გეტყვიან ასეო, მოიქცევით ასე, თუ გეტყვიან ისეო, მოიქცევით ისე. აი, თქვენი დღევანდელი „სიბილა“ კელი დეიდა გეტყვით: აი ეს საგანი ბლინკენის, ან ბორელის, ან მიშელის კიტრია და ჭამეთო, თუმცა იგი ძალიან ჰგავს ფალოსს, თქვენ რიგში ჩადგებით პირში ნერწყვმომდგარი.

თქვენი გამო.... ეგა თქვენი ბრალი კი არ არის, თქვენი ტელევიზორის ბრალია. ეტყობა პულტის ხმარება არ გასწავლეს და ზოგს „მთავარზე“ გაქვთ ჩართული, ზოგს „პირველზე“, ზოგს „ფორმულაზე“ და გამოიმასქნდებით, აბა რა მოგივათ, არც სხვა ქართული ტელეარხებიდან იფრქვევა დიდი ცოდნა, მაგრამ მთლად უიმედოდ გამოიმასქნება მაინც შეიძლება, აიცილოთ თავიდან.

**ისე, ამ დემოტრაკიამ (ბოდიში, ე.წ. „დემოკრატიამ“) ერთი დიდი სიკეთე მაინც მოიტანა. იმ ავადსახსენებელი, ძველი პოლიტიკური რეჟიმის დროს, რაიმე დარგში ექსპერტის სტატუსი რომ მიგეღო, იმ დარგის აღიარებული სპეციალისტი უნდა ყოფილიყავი, რაც ღრმა ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას გულისხმობდა. ამის მიღწევას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდებოდა. ახლა საქმე გამარტივდა: რაღაც მაინც თუ გახსოვს (თუნდაც არასწორად) ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოდან, თამამად შეგიძლია ისტორიული პროცესების ექსპერტად ჩათვალო თავი და ამის შესაბამისი პრეტენზიაც გამოხატო. პრესაში ან ტელევიზიაში თუ არ მოგცეს შენი დასკვნების გასაჯაროების საშუალება, აგერ არ არის სოციალური ქსელები!!! ყველაზე ადვილი პოლიტიკური ექსპერტის საქმიანობაა: არც ისტორიის ცოდნაა საჭირო, არც პოლიტოლოგიის, არც წარსულის, არც აწმყოსი, საკმარისია ტელეარხებს – „მთავარს“, „ფორმულას“, „პირველებს“ უცქერდე სისტემატურად, ყოფილი მესამე, მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტების მონათხრობ სიზმრებს ისმენდე..., მორჩა, პოლიტიკური, თუ ეკონომიკური ექსპერტი ხარ. ის კი არა, ოცდაცამეტი ქართული ასო თუ იცი, უბრალოდ, ჟურნალისტი კი არა, პუბლიცისტი ხარ, ხოლო ორიოდე სასვენი ნიშნის ხმარება თუ იცი, განსაკუთრებით წერტილისა, უდავოდ წარმატებული მწერალი ხარ და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის კარიც გაიღება შენთვის.**

ცხოვრება საამური გახდა იმნაირი ხალხისთვის, ვინც ახლა ჩამოვთვალე, მაგრამ, ნათ-ებს და რა არის მათთვის ავი თუ კარგი? მის გამონათქვამებს რომ ვაკვირდები, ჭკუის ნასახს ვერ ვხედავ მასში და რა ვიცი, რა ვიფიქრო, თუმცა ერთი აზრი კი გამკრავს ხოლმე: ჩვენმა ძალიან მაღალჩინოსნებმა, მგონია, არ იციან ქვეყნის მართვის ელემენტარული ტექნოლოგიები, თორემ იუსტიციის მინისტრი რომ გამოდის ტელევიზიით და მე და ჩემნაირებს გვამცნობს, ახლა ბაკურიანში ქვეყნის დამქცევი ოპოზიციის წარმომადგენლები არიან შეკრებილები და მათ ამერიკიდან ჩამოსული, ხელისუფლების გადატრიალების სპეციალისტი ტრენინგებს უტარებს საქართველოში „ქართული ოცნების“ დამხობის საქმეზეო, რას მივაწერო ეს? ერთი პირობა, ვიფიქრე, ეს კაცი გვანიშნებს, მე იმ გადამტრიალებლებს ვერაფერს ვუზედავ და იქნებ, თქვენ ახვიდეთ ბაკურიანში




ქვამია, „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს.“ ჰო, და იმ ხალხს ძალიან გაუჭირდა, რომლებიც, დიდი ცოდნით არიან დატვირთულები. მათ ყველას გაასწრო პროგრესის მატარებელმა, რომელიც როგორც ამბობენ, „შინ“ ევროპაში მიდის, რას იზამ, მატარებელი, როგორც ერთხელ შალვა ნუცუბიძემ მოსწრებულად აღნიშნა, იმ კაცს გაასწრებს, რომელიც სოფლიდან სარჩო-სანოვაგით დატვირთული მოდის, თორემ ზოგიერთივით ცარიელ-ტარიელი კაცი მატარებელს თვითონ გაასწრებს. ჰო და, ამ საქართველოდან ევროპაში მიმავალი მატარებლის ფანჯრებიდან ჩანან მწერლების – კვაშა მოზვერაძის, ლადაშ ტურავას, პუბლიცისტების – ჟორა ზარანდიას, ია კურკულიას, ჟურნალისტების – ვირგლა გრიგოლაძის, შეთე ტურაძის ბედნიერი სახეები. ბაქანზე დაღვრემილები დგანან ხურჯინგადაკიდებული ჩამორჩენილი მგზავრები და უიმედოდ ელოდებიან შემდეგ მატარებელს, რომელიც, როგორც ჩანს, ადგილობრივ რეისებზე იმოძრავებს.

ერთი რამ ვერ გავიგე, თუმცა თავი ხელისუფლების ტექნოლოგიის მცოდნედ, მეტიც ექსპერტად მიმაჩნია, რა? რა და, ეს უცხო ქვეყნის ელჩი, რომელსაც ზოგიერთი ქართველი პოლიტექსპერტი კელი დეიდად მოიხსენიებს, ისე რომ იქცევა, როგორც სიძესთან ,,უპრაგონოდ“ ჩასახლებული აშარი სიდედრი, ყველა საქმეში რომ არბიტრივით ერევა და სიძის დედის პენსიით თავისთვის ძვირფას სუნამოებს ყიდულობს, როგორ ურიგდება ამას ჩვენი ხელისუფლება, ნეტავი? ან ქართველებზე უკეთ როგორ იცის, რა სჭირდებათ მათ ოჯახ-

და სულ ცემა-ტყეპით ჩამომიყვანოთ ისინი აქო, კი ბატონო, მარა გადატრიალების მსურველები კი არა, პედერასტების პარადი რომ არ გაატარეს კაი ბიჭებმა რუსთაველზე, ისინი ხუთ-ხუთი წლით ჩასვეს ციხეში და მე ამერიკელი ექსპერტისა და მისი შეგირდების შეთქმულების მონაწილეთა ცემა-ტყეპის უფლებას მაძლევენ, ვითომ?

თუ ციხეში ცარიელი ადგილების შევსება უნდათ, რადგან პატიმრების რაოდენობით ძალიან ჩამორჩებიან სააკაშვილის ხელისუფლებას. არც ამაზე მაქვს დამაჯერებელი პასუხი. ერთი რამე კი აშკარაა: ძველი და ახალი ხელისუფლება სრულიად ცხადად ეჯიბრება ერთმანეთს „ბებერი ევროპის“ სიყვარულსა და სრულიად ახალგაზრდა რუსეთის ლანძღვაში. ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, უპირატესობა რომელ მხარეს აქვს. ისე ვფიქრობ, მაინც „ოცნების“ მხარეზეა მცირე უპირატესობა: სწორედ მათ შეიტანეს კონსტიტუციაში, ჩვენი მიზანია „ნატოსა“ და ევროკავშირში შესვლაო, ისე ამის მოფიქრება არ გინდოდა! მარა, ქართველი რომ ვერ მოიფიქრებს და ვერ მიხვდება, ისეთი რამე არსებობს, განა? ერთი იმისა არ იყოს, სოფლიდან მომავალ ცოლ-ქმარს მატარებელმა რომ გაასწრო. ასე იყო ეს: ის ცოლ-ქმარი სოფლის ბაქანთან სულ ახლოს იყვნენ, მატარებელი რომ ჩამოდგა, ცოლმა ფეხს აუჩქარა და ქმარსაც უჯიკა, ჩქარა გამოადგი ფეხიო, ქმარმა აინუნშიც არ ჩააგდო ცოლის სურვილი და დინჯად უთხრა, ნუ გეშინია, ვერსად წავა ეგ მატარებელი, მაგის სული ჩემს ხელშიაო!.. როგორო, – ცოლმა. როგორ და მარელისი-თბილისის ბილეთი გუშინ საღამოს შევიძინე და აგერ მაქვს ჯიბეშიო. ცოლიც დამშვიდდა. ამ დროს მატარებელმა მიაკივლა და მარელისის ბაქანი დატოვა. ა, ეგრეა საქმე, კონსტიტუციაში გვიწერია და სულ რომ დაიშალოს ,,ნატო“ და ევროკავშირიც, იქ შესვლა მაინც გარანტირებული გვაქვს. ჩემი თუ არ გჯერათ, აგერაა ბორელი და შარლ მიშელი და შეეკითხეთ... თუ გინდათ!

**ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ დეიდა კელისა არ იყოს, ეს სალომე პრეზიდენტი რაღა უბედურებაა, ვინ დაგვწყევლა რობერტ ბერნსისა არ იყოს, ირლანდიის მტრები რომ დაწყევლა „ოი, უფალო, გვედრებ კივილით, გადაუხადე ირლანდიის მტრებს სამაგიერო კბილის ტკივილით!“, ეს სალომე ხომ ნამდვილი კბილის ტკივილია. მარა, რა არის, იცით? ირლანდიის მტრებს კბილები ასტკივდათ თუ არა და როგორ უშველეს თავს არ ვიცი, მაგრამ ბებიაჩემ ოლღა არევაძეს კბილი რომ ასტკივდებოდა, მივიდოდა კბილის ექიმთან და ამომაძვრე აი კბილიო, ეტყოდა. ექიმიც თვალის დახამხამებაში ამოაძრობდა იმ ჭიან კბილს და მოვიდოდა ოლღა ბებია დამშვიდებული სახლში. ამ ჩვენს ხელისუფლებას რა სჭირს, ნეტავი? კიდევ წელიწადნახევარი უნდა სტკიოდეს კბილი, სხვა ტკივილებზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩემს ისტორიულ სამშობლოსა და მის მეზობლებში ამ ტკივილის ერთი წამალი არსებობს – იმპიჩმენტი. შე დალოცვილო ხელისუფლებავ, შეეკითხე ხალხს და წააიპიჩმენტე პრეზიდენტიც და მისი გამოსაპიჩმენტებელი მრჩევლები და თანაშემწეები.**

ე, მე გირჩიეთ და აწი როგორც გინდათ: შეგიძლიათ საკუთარ გამოიმპიჩმენტებას დაელოდოთ..

დიდხანს მოგიწევთ ლოდინი, გგონიათო? თქვენ რომ ჩემსავით გგონიათ არასერიოზულები, უჭკუოები და სულელები არიან ეს კოლექტიური ხოშტერიები (თუ ხოშტარიები), სამადაშვილები თუ სამნიძეები, კუპონა გოცირიძეები, თუ სულაც დასაბმელი გიჟები მშვილდაძე, უგულავა და ძმანი მათნი – „ლელოები“, „გირჩები“ (შარვალჩახდილები-თუ-ჯერკიდევ- შარვალჩაუხდელები), ამაში გეთანხმებით, მაგრამ თქვენ არ იცით, რას ნიშნავს გიჟების ბუნტი. არაერთი გადატრიალება თუ სულაც რევოლუცია გიჟების მოწყობილია. არ იცით კლასიკური განსაზღვრება პოლიტიკური რევოლუციებისა: რევოლუციას ამზადებენ ინტელექტუალები, მას ახორციელებენ ფანატიკოსები (ანუ გიჟები), ხოლო შედეგებით სარგებლობენ არამზადები. ჰო, და ამ გიჟების ბუნტს ერთ ადგილზე მყოფი ინტელექტუალები ამზადებენ და თუ თქვენ მართლა ხოშტარია-ხოშტერიებისა და ხაზე-მაზეების გეშინიათ, დროზე რომ გარბოდეთ აქიდან, გირჩევნიათ.

**ჩემი რჩევაა, როგორც ფრანგი მისიონერების შთამომავლისა, დანაშაულის ჩადენის პირველსავე შემთხვევაში შეაგდეთ აგანოში ყველა თავგასული გომბიო და კაცმაცუნა და „იქ მჯდომი ინტელექტები“ ანუ რევოლუცია-გადატრიალების სპეციალისტები ხმასაც ვერ დაძრავენ. დაიჯერეთ, შეტევა არის ყველაზე ეფექტიანი თავდაცვა, ასეა ეს!**

კიდევ ერთი რჩევა ჩვენს ხელისუფლებას უცხოური წარმომავლობის ქართველისაგან: აუცილებლად უნდა გახსნათ ახალი ფსიქიატრიული კლინიკები და მნიშვნელოვნად გაზარდოთ უმაღლეს სასწავლებლებში ფსიქიატრთა მომზადების ჯგუფები. ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ სიგიჟე გრიპივით გადამდებია. ეპიდემია ყველაზე სწრაფად ვრცელდება იქ, სადაც ხალხს მიტინგისტის ვირუსი აქვს შეყრილი, რაც მიტინგებზე ყოფნის მოთხოვნილებას განაპირობებს, აკრძალეთ მიტინგები და მიტინგებით დაავადებულები საგიჟეთში შეყარეთ. ამასთან, აუცილებლად უნდა მოსთხოვოთ პარლამენტსა და რაიონის საკრებულოების დეპუტატებს ფსიხო (ცნობა ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ).

თუ დამიჯერებთ, ხომ კარგი, თუ არა, გირჩევთ, მოიმარაგოთ ლოგინი და ტანსაცმელი, რადგან ფსიქიატრიულ კლინიკებში პაციენტებს ამ ნივთების გარეშე არ ღებულობენ.

**დიდი იმედი არა მაქვს იმისა, რომ ხოშტარია-მოშტარიების, ხაზე-მაზეების, ბოკერია-მოკერიებისა და კუპონა-მუკონებისა და მათ მსგავსთა ქვეყანაში საღი აზრი ვინმემ გაიზიაროს, მაგრამ ნათქვამია, ცდა ბედის მონახვეწეაო.**

კეთილი სურვილებით,
**ზურიკო დე შინდარელი**
ტელ: 555 56-75-37 21. 05. 2023 წელი


მერაბ გოხელაშვილი





მიხეილ ცოტნიაშვილი

# „თავისუფლება ლომთა ხვედრია!..“

**საქართველოს ამ ადუღებულ დრო-ჟამს, როდესაც რუსეთის მიერ ოკუპირებულია თვალ-მარგალიტი აფხაზეთი, ივერიელთა ღვთისმშობლის წილხვედრ სამკვიდრო – „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია...“ მრავალჭირნახულ ქვეყანას კვლავაც გეწვის ხიდზე გავლა უწევს.**

**„ჩვენთვის ნათელი არის ყოველი,“ 26 მაისი, მხოლოდ წარსულის გაცოცხლება არაა და არც ჩვეულებრივი დღესასწაულია, ეს დაფიქრების და გააზრების დღეა! დღე, როცა სამშობლოზე უნდა ვიფიქროთ და ახლო წარსულში, კლასიკოსი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის მოწოდება, – „ჭკუით, ქართველებო!,“** – გავითავისოთ.

დღეს, როგორც არასდროს, თითოეულ და ყველა საღად მოაზროვნე მამულიშვილს, მეტი გამჭრიახობა თუ სიფხიზლე გვმართებს ეროვნული ღირებულებების შესანარჩუნებლად, მშვიდობის განსამტკიცებლად.

წუთისოფლის აბობოქრებული ცხოვრების ფონზე, უნდა გვწამდეს და გვჯეროდეს, – „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!“

გასული საუკუნის დასალიერზე, ჟამიანობის მწუხრი ჩამოდგა ცხინვალქალაქში და კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი ჩაიწერა მრავალტანჯულ საქართველოს ისტორიაში. მაშინ, სამაჩაბლოშიც ფართოდ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, აქტიურად ჩაერთო ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი მიხეილ ცოტნიაშვილი.

ჯერ კიდევ 80-იან წლებში, ადგილობრივმა გამომცემლობა ,,ირისთონმა,“ ოსი ეროვნების პროფესორ გიორგი თოგოშვილის სპეცრედაქტორობით, დასტამბა მიხეილ ცოტნიაშვილის წიგნი ,,ცხინვალის ისტორია.“

მშობლის კვალს გაყოლილი ცხინვალელი მკვლევარ-ისტორიკოსის უმცროსი ვაჟის, პროფესორ მამუკა ცოტნიაშვილის თქმით, **„მახსოვს, „ცხინვალის ისტორია“ რომ დაიბეჭდა, კორექტურას ვაკეთებდით, მე ვკითხულობდი ნაშრომს და უცებ შევჩერდი, მამა, ამას არ დაგიბეჭდავენ-მეთქი. მაგრამ მოხდა სასწაული: თვითონ ოსებს დააბეჭდვინა ის ისტორია, რასაც შემდგომ აყალბებდნენ.“**

ტრაგიკული 9 აპრილის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. შედეგად, 1989 წლის ვარდობის თვეს, საზოგადოების მოთხოვნის პასუხად, „ხელისუფლება დათანხმდა ფართოდ აღენიშნათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადების დღე – 26 მაისი, მით უმეტეს, ამ თარიღს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც (1926 წლამდე) აღნიშნავდნენ.“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში (23/V, 1989 წ.) პირდაპირ იყო მითითებული, რომ 26 მაისის – საქართველოს სახელმწიფოებრიობის დღის აღნიშვნა უთუოდ კარგი იმპულსი იქნებოდა რესპუბლიკის ნამდვილი სუვერენიტეტის მისაღწევად. საიუბილეო დღისადმი ოსი ხალხის მომზადება პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს დაევალა.

ამ მიმართულებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის, ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველის მერაბ გოხელაშვილის ჩვეული პასუხისმგებლობა აღნიშნული მიმართულებით. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ტარდებოდა საჭირო შეხვედრები პარტიულ აქტივთან თუ საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად. მისი კაბინეტის ხშირი სტუმარი გახლდათ თანამოაზრე და მეგობარი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ ცოტნიაშვილი.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით, 26 მაისის (1989 წ.) სადღესასწაულო მიტინგები ოლქის ტერიტორიების იმ ადგილებში უნდა ჩატარებულიყო, სადაც ამის შესაძლებლობა იქნებოდა. ამ მხრივ, აქტიური სამზადისი დაიწყო ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მიტინგზე მოხსენებით გამოსვლა დაევალათ უმაღლესი სასწავლებლის რექტორს ლუდვიგ ჩიბიროვს და დეკანს მიხეილ ცოტნიაშვილს.

შეხვედრას ესწრებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ოს-ქართველთა საზოგადოებაში აღიარებული ავტორიტეტი მერაბ გოხელაშვილი.

მიტინგი დანიშნულ დროს დაიწყო და საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. სადღესასწაულო ღონისძიებას მთავარ ლაიტმოტივად გასდევდა ქართველი და ოსი ხალხის ისტორიული მეგობრობა. სიტყვაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები, მწერლები, მეცნიერ-მუშაკები...

იმ დროს, როცა სადღესასწაულო მიტინგი მიმდინარეობდა, **„ქართველებისადმი მტრულად განწყობილი ოსთა ბანდები მიადგნენ ინსტიტუტის კარებს. ლამობდნენ შემოჭრას და მიტინგის დარბევას. მხოლოდ ნამდვილი ოსი ვაჟკაცების შემართებამ უშველა ხალხს.**

მაგრამ ოსთა ბანდები მთელი მონდომებით დაერივნენ 26 მაისის პატივსაცემად თბილისიდან ცხინვალში ჩამოსულ ახალგაზრდებს. ქართული ეროვნული დროშები ხელიდან წაგლიჯეს, იქვე დახიეს და ქართველების დასანახად დროშების ნაფლეთებით ფეხსაცმელები გაიწმინდეს. გარდა ამისა, ღვთისმშობლის ეკლესიასთან ჩამომდგარ თბილისელი ახალგაზრდების მიკროავტობუსზე ყვავილებში ჩამჯდარი სურათი ნოე ჟორდანიად მიიჩნიეს და ამის გამო მანქანას მინები ჩაუმსხვრიეს, ხოლო რაჭისკენ მიმავალ თბილისის ავტობუსებს ქვები დაუშინეს...“

ცხინვალის პედინსტიტუტის ქართული ფაკულტეტის სტუდენტებმა მხედრულად გაშლილი ქართული დროშებით იწყეს სვლა ქალაქის აღმოსავლეთით – ზღუდრის სასაფლაოსკენ, 13 კომუნარის საფლავის ყვავილებით შესამკობად. ისინი ინსტიტუტის ოსმა კეთილმოსურნეებმა შეაჩერეს, რადგანაც ზღუდერზე ოსი ,,ბოევიკები“ ყოფილან ჩასაფრებულები და 13 კომუნარის საფლავზე ქართველების ჩახოცვას აპირებდნენ.

ქართველთა აზორიგენ ქალაქში, 26 მაისის მოვლენების შესახებ, ლიახვისპირელი ჟამთააღმწერი მიხეილ ცოტნიაშვილი გულდაწყვეტით აცხადებდა, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ოსი ახალგაზრდობა წინასწარ ვერ მოვამზადეთ, ძალიან დაგვიანებით დავიწყეთ ამისთვის ზრუნვა.

ასე რომ, 26 მაისის დღესასწაული ცხინვალში თუმც ჩატარდა, მაგრამ ოსი სეპარატისტები და მათ მოწოდებებს აყოლილები მტრულად შეხვდნენ. ამის უტყუარი შედეგი იყო ის ანტიქართული ისტერიკა-გამოხდომები, რაც ხდებოდა იმ დროს მყუდრო, მშვიდობიან ლიახვისპირა ივერიელთა სამკვიდრო-სამოსახლოში!

**როზერტ ოდიკაძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**




# აშშ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონლის თავისუფალ მიმოსვლას უჭერს მხარს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ეხმიანება სომხური მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, ნოვოროსიისკი-ბათუმი-ნოვოროსიისკის მარშრუტით ტვირთის რეგულარული გადაზიდვა მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო.**

„აქცენტისთვის“ გამოგზავნილ წერილობით კომენტარში სახელმწიფო დეპარტამენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აშშ მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორებთან რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების აღსრულების კუთხით. ამავდროულად, ვაშინგტონი აცხადებს, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონლის მიმოსვლას მხარს უჭერს.

**„ჩვენ ვიცით სომხეთიდან რუსეთში გადაზიდვების ამ მარშრუტის შესახებ. უკრაინაში არაპროვოცირებული ომის გამო რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების საკითხზე და შემდეგ ამ სანქციების აღსრულებაზე შეერთებული შტატები და მისი პარტნიორები მჭიდროდ თანამშრომლობენ. აშშ მხარს უჭერს სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონლის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქონლის, მედიკამენტების და სამედიცინო აღჭურვილობის თავისუფალ მიმოსვლას, ასევე – ამ სექტორებში ვაჭრობის ხელშემწყობ საქმიანობას“,** – აცხადებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერი.

22 მაისს **სომხურმა მხარემ** აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის რეგულარული საბორნე მიმოსვლა დაიწყო. იმავე დღეს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ განაცხადა, რომ სომხური მხარის ცნობა რეგულარული საბორნე მიმოსვლის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

აქვე სააგენტო აღნიშნავს, რომ აპრილის თვეში ორი კომერციული რეისი ნამდვილად შესრულდა ნოვოროსიისკიბათუმის მიმართულებით და იგი პალაუს დროშის ქვეშ მცურავმა გემმა შეასრულა. უწყება აცხადებს, რომ ამ რეისს რეგულარული ხასიათი არ აქვს:

**„სომხეთის ცალკეული მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია ბათუმსა და რუსეთის ქალაქ ნოვოროსიისკს შორის მიმდინარე წლის აპრილიდან რეგულარული საზღვაო გადაზიდვების დაწყების შესახებ, ინტერპრეტირებულია და სინამდვილეს არ შეესაბამება.**

**რაც შეეხება ცნობას კონკრეტული გადაზიდვების შესახებ, აპრილში, პალაუს დროშის ქვეშ მცურავმა გემმა „Haci Musa Ucak“ – (IMO 9128544), ნამდვილად შეასრულა ორი კომერციული რეისი ნოვოროსისკსა და ბათუმს შორის. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს არ არის რეგულარული რეისი, და სრულად არის კომერციული ხასიათის, რომელიც სისტემატურად ხორციელდება. აღნიშნული გემის მფლობელი კომპანია, რომელიც არ იძებნება სანქცირებულთა სიაში, კვლავ გეგმავს კომერციული რეისების შესრულებას. რაც შეეხება ტვირთს, ის სრულად ტრანზიტულია და განკუთვნილია სომხეთის რესპუბლიკისთვის.**

**საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან კოორდინაციით, მუდმივ რეჟიმში ახორციელებს როგორც გემების, ასევე გემთმფლობელების შემოწმებას საერთაშორისო სანქციებთან მიმართებით. შესაბამისად, თუკი გემი, ან გემის მფლობელი არის სანქციების სიაში, მას არ ეძლევა საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელების უფლება“.**

# დიახ, ჩვენ მეტი ქართული ხორბლისა და ხარისხიანი პურის წარმოება შეგვიძლია



**საქართველოში 2021 წლის 1 ივლისიდან შეწყდა ფქვილის სუბსიდირების პროგრამა, რამაც გამოიწვია პურზე ფასების ზრდა. პურის საცალო ფასი მარკეტებში 70-90 თეთრით გაიზარდა და ეს პროცესი ფაქტობრივად, დღემდე გრძელდება.**

პური არა მარტო სურსათის ძირითადი და უპირველესი სახეობაა, არამედ უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციის მატარებელი პროდუქტიცაა. ამიტომ სახელმწიფოს ამოცანა უნდა იყოს არა დაბალხარისხიანი ფქვილისა და პურის წარმოების სუბსიდირება **დაბალი ფასების შენარჩუნებისთვის, არამედ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის კომპენსაციის (პურის ბარათის სახით, რაც სახელმწიფოს ყოველთვიურად არაუმეტეს 3,5 მლნ. ლარი დაუჯდება) გაცემა, რათა მათ შეძლონ მაღალხარისხიანი პურ-პროდუქტების შეძენა, და ამით საკუთარი ჯანმრთელობის და მატერიალური მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება.**

თუ სახელმწიფოს მიზანია პურ-პროდუქტებზე დაბალი ფასების შენარჩუნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გავიზიაროთ ეკონომიკურად ძლიერი დასავლეთის ქვეყნების **გამოცდილება, პურზე დღგ-ს ტარიფის 7%-მდე შემცირებისა ან საერთოდ განულებისა.**

ამით ასევე მოწესრიგდება პურის ვაჭრობის საკითხებიც. როგორიცაა გაუგებარი ქეშბექები, რეტრობონუსები, სავაჭრო დათმობები და აქტივობები (ამ ფასდანამატებმა პურის ღირებულება 50-55 პროცენტით გაზარდა, ეს იმ დროს, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ფასდანამატი არ აღემატება 3-5 პროცენტს, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ნორმატიული აქტებით) და გაყიდული პურის უკან დაბრუნების სისტემა.

სადღეისოდ საქართველოში რუსეთიდან ხორბალი აღარ შემოდის. იგი ჩაანაცვლა ამ ქვეყნიდან ფქვილის იმპორტმა. რუსეთის ფედერაციის სატარიფო პოლიტიკის გამო წარმოიშვა ე.წ. „ფასების საექსპორტო მაკრატელი" გაძვირებულ ხორბალსა და შედარებით იაფ ფქვილს შორის, რამაც პრობლემები შეუქმნა საქართველოში ხორბლის მწარმოებლებს. მათ 2022 წელს რეკორდულად მაღალი მოსავალი მოიწიეს (157.4 ათასი ტონა 54 ათას ჰა-ზე), მაგრამ წისქვილკომბინატებმა ზემოხსენებული იაფი, ფაქტობრივად დემპინგური რუსული ფქვილის იმპორტის გამო შეწყვიტეს ადგილობრივი მწარმოებლებისაგან ხორბლის შესყიდვა, რის გამოც ადგილობრივი მწარმოებლების არარეალიზებული ხორბლის მოცულობამ 2023 წლის გაზაფხულზე 30 ათას ტონას გადააჭარბა. შედეგად – ხორბლის ქართველი მწარმოებლები ორგვარ ზარალს განიცდიან – ერთი მხრივ, მათ, უხანგრძლივდებათ საწყობების იჯარის დრო, შესაბამისად უწევთ დამატებითი ხარჯების გაწევა, მეორეც, ეს საწყობები არაა გათვალისწინებული პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისათვის, იქ ხორბალი კარგავს სამომხმარებლო კონდიციას, მათ შორის მღრღნელებისაგან.

თუ წისქვილკომბინატები არ მიიღებენ ადგილობრივ ხორბალს, ეს კატასტროფული იქნებოდა არა მარტო ადგილობრივი მწარმოებლებისთვის, არამედ მთელი დარგისთვის, სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა ქვეყნის სასურსათო და ზოგადად, ეროვნულ უსაფრთხოებას.

**საქართველოს აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებულად კონტრასტულია იმ წარმატებების ფონზე, რაც ჩვენმა უშუალო მეზობლებმა – აზერბაიჯანმა და სომხეთმა თავიანთი თანმიმდევრული და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკით მიაღწიეს ხორბლით თვითუზრუნველყოფაში. – დღეისათვის მათთან ეს მაჩვენებელი, ჯერადად აღემატება საქართველოსას.**

აღნიშნული წარმატების საფუძველი გახდა აგრარული სექტორის მხარდამჭერი შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტსა და ტრანზაქციაზე – დაწყებული თესლის, დიზელის საწვავისა და სასუქების სუბსიდირებიდან და დამთავრებული გარანტირებული შესყიდვითა და შეღავათიანი კრედიტით. მაგალითად, საქართველოსთან შედარებით ტერიტორიით – ორჯერ მცირე და საგრძნობლად ნაკლები მოსახლეობის, გაცილებით არახელსაყრელი ბიოგეოკლიმატური პირობების მქონე სომხეთში მარცვლეულით დაკავებული ფართობი თითქმის იმდენივეა, რამდენიც საქართველოში, ხოლო ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე – 1.5-ჯერ უფრო მაღალი. სომხეთში მარცვლეულის წარმოების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებულია ხორბლით თვითუზრუნველყოფის გაზრდა ამჟამინდელი 30-დან 50 პროცენტამდე; მარცვლეულის ყოველ ჰექტარ ნათეს ფართობზე სახელმწიფო სუბსიდირება ფარავს 300 კგ, თესლის, 250 კგ აზოტოვანი სასუქისა და 70 ლიტრი დიზელის საწვავის ღირებულებას (ჯამში – 160-დან 280 დოლარამდე), ფაქტობრივად კი – მთლიანი ხარჯების თითქმის ნახევარს. ამასთან, ხორბლის მწარმოებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში – ე. წ.გარიგებაში ჩადებულია ხორბლის სავალდებულო შესყიდვა წინასწარ დადგენილი, ფიუჩერსული ფასით.

**საქართველოში ხორბლის წარმოების სტიმულაციისთვის აღნიშნული მიდგომა საგულისხმო და დიდწილად გასათვალისწინებელიცაა, რადგანაც ჩვენთან ყოველ ჰექტარ ხორბლის ნათესზე მწარმოებლის საშუალო ხარჯმა უკვე 2200 ლარს (სიმინდზე – 2600 ლარს) მიაღწია.**

**კიდევ უფრო შთამბეჭდავია აზერბაიჯანის მაგალითი, რომლის ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე 80 პროცენტია. დღეისათვის აზერბაიჯანის ხორბლის ნათესი ფართობები საქართველოსას 8-ჯერ, ხოლო ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე – თითქმის 4-ჯერ აღემატება.**

ჩვენი მეზობლები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და მარცვლეულის ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის საგრძნობი ზრდა აქვთ დაგეგმილი.

**აზერბაიჯანსა და სომხეთში, ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, აკრძალულია ფქვილის იმპორტი, რითაც გაკოტრებისაგან დაცულია ხორბლის გადამმუშავებელი კომპანიები (წისქვილკომბინატები). საქართველოში ასეთივე აკრძალვის შემოღების ან ფქვილის მხოლოდ კვოტირებული (არა უმეტეს 20 პროცენტისა) იმპორტით შეზღუდვის გარეშე ქართული წისქვილკომბინატების მუშაობას პერსპექტივა არ გააჩნია. ამ დარგის პარალიზება კომერციულად არასაინტერესოდ ხდის ადგილობრივი სასურსათო ხორბლის წარმოებას, ქვეყანა კარგავს ასობით მილიონი ლარის შემოსავალს ბიუჯეტისთვის, კომპანიებისთვის, ფერმერებისთვის და უმუშევრად ტოვებს ათასობით მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს.**

საკუთარი მწარმოებლების ინტერესების დაცვაში საგულისხმო მაგალითს იძლევიან ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც (პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი). – მიუხედავად იმისა, რომ ისინი მასშტაბურ ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევენ უკრაინას რუსული აგრესიის მოსაგერიებლად, მარცვლეულის ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის მიზნით მათ უარი თქვეს შედარებით იაფი უკრაინული ხორბლის მიღებაზე და ამ უკანასკნელისთვის თავიანთი სახელმწიფო საზღვრები მხოლოდ ტრანზიტისთვის გახსნეს.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ხორბლის წარმოების ზრდა ქვეყნის თვითუზრუნველყოფის არსებითი ამაღლებისათვის. ამისათვის კი უნდა მოახდინოს ხორბლის გარანტირებული რაოდენობის შესყიდვა საბაზროზე არანაკლები ფასით, ანუ თვითღირებულებაზე სულ ცოტა 30 პროცენტით მეტად, რაც ხორბლის ადგილობრივ მწარმოებლებს მისცემს შესაძლებლობას, დაფარონ მიმდინარე ხარჯები, საკრედიტო ვალდებულებები და შეინარჩუნონ საკმარისი ეკონომიკური და ყოფითი მოტივაცია მომავალში აღნიშნული პროდუქციის უფრო მასშტაბური წარმოებისათვის. ვფიქრობთ, საკითხის მნიშვნელობისა და მის გადასაჭრელად მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების გასატარებლად ყველაზე ეფექტიანი ფორმა იქნებოდა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის მიღება, რომლის ანალოგების წარმატებით რეალიზაციის თვალსაჩინო მაგალითის დემონსტრირება უკვე მოახდინეს ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა და სომხეთმა.

**ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პური იყო და რჩება კვების და კალორიების მიღების ძირითად წყაროდ, რის გამოც როგორც თავად პროდუქტი, ისე მისი ფასიც არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური კატეგორიაა. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წისქვილკომბინატებს, პურის ქარხნებს, აღნიშნული პროდუქციის სხვა მწარმოებლებს შეუმცირდეთ თავის დროზე ლარის კურსის დაცემის საბაზით უზომოდ გაზრდილი კომუნალური (წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის) ტარიფები. ეს საგრძნობლად შეამცირებდა პურის საცალო ფასს, იქნებოდა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი როგორც აღნიშნული სექტორის მხარდაჭერის, ისე მოსახლეობის სოციალური დაცულობის მიმართულებით.**

**საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს მარცვლეულის მწარმოებელთა მხარდამჭერი (3-5-წლიანი)** პროგრამა – **„მარცვალი" (100-110 ათას ჰექტარზე, 3,5-4 ტ/ჰა საშუალო მოსავლიანობით ), რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მოთხოვნილების 60-65%.**

**პაატა კოღუაშვილი,**
**მალხაზ დოლიძე,**
**სოსო არჩვაძე,**
**დავით გალეგაშვილი**

# რამაზ საყვარელიძე: მიდის საქართველოზე გამავალი გზებისთვის ბრძოლა, როგორც ამ გზების ასაფეთქებლად, ისე შესანარჩუნებლად



(მესამე გვერდიდან)

აი, სხვა ქვეყნების ინტერესებისთვის ანგარიშის არგაწევა-გაუწევლობა თუკი ბრალდებად ედება ამერიკას ევროპის ქვეყნების მხრიდან, რომელთანაც დიდი პარტნიორული კავშირები აქვს, წარმოიდგინეთ, შეიძლება თუ არა ასეთი ვერსია გაჩნდეს საქართველოსთან კავშირში, რომელთაც ურთიერთობაში ძირითადად, უფრო საქართველოა დაინტერესებული, ვიდრე ამერიკა.

თუ ამერიკის მხრიდან არ შეიცვალა ვითარება და დარჩა ისე, როგორც არის, ვარაუდია, რომ შეიძლება ამერიკა დაინტერესებული იყოს იმაში, რომ დაასუსტოს კონკურენტები. ეკონომიკური კონკურენტი არის როგორც ჩინეთი, ისე ერთიანი ევროპა. ამერიკისთვის ჩინეთი კონკურენტია და ევროპისკენ მიმავალი ჩინეთის სატრანზიტო ხაზი დიდად მომხიბვლელი არ უნდა იყოს, რადგან ეს ჩინეთის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ვერ ვიტყვი, ამის გამო ამერიკა ვენებს გადაიჭრისმეთქი, რადგან მას უამრავი საშუალება აქვს, უზარმაზარი ეკონომიკური რესურსების და გამოცდილების ქვეყანაა და თავისი მიზნების მიღწევას როგორ მოახერხებს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თავისთავად, ამერიკის ინტერესში რომ არ უნდა იყოს ჩინურ-ევროპული ხაზის გამყარება, ეს გასაკვირი არაა.

შეიძლება არაფერი არ ქნას ამ ხაზის გასაფუჭებლად, შეიძლება სხვა გეგმები ჰქონდეს, მაგრამ თავისთავად, ამ პირობებში, რაშიდაც დღეს ვუყურებთ მსოფლიოს, როცა ყველა ყველას ეჩხუბის, იმის ვარაუდი, რომ რახან ამერიკელები და ევროპელები პარ-

# მომეცი ნება, მიყვარდე ისე, როგორც უყვარდი, მამულო, ცოტნეს!

## დემურ გადელიას ფსიქოლოგიური პორტრეტი



**გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, ერის მოსიყვარულისა და შესანატრი პროფესიონალის ბატონ დემურ გადელიას რეგალიების ჩამოთვლაც ცხადყოფს ამ ღვაწლმოსილი ხელმძღვანელის პიროვნულ ღირსებებს:**

**ს.ს. „არქეოპოლისის“ დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, „ღირსების ორდენის“ ორგზის კავალერი, წმინდა ნიკოლოზის ორდენის მფლობელი, „საქართველოს დამსახურებული მეგზევე“, სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე.**

**ყველაფერია თითქოს ნათქვამი, რა შეიძლება დაამატო? თუმცაღა ჩემი განცდა და ფიქრი, მრავალი წლის მანძილზე მიღებული ემოციები მინდა გაგიზიაროთ.**

დემურ გადელია იშვიათი ადამიანური თვისებებითაა შემკული, რომლის რაინდული სულის სიმშვენიერე, მისი გულის სარკმელში ჩანს.

თითქოს მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა ფერადი სურათებია, რომელიც აირეკლავს და წარმოაჩენს პიროვნებას.

როცა სურათს ხატავ და ქმნი, მუდამ მთავარია ფერები და გრძნობები. ნახატის ფერები აღსაქმელად როცა მახლობელია, ეს მუდამ აღგაფრთოვანებს. შეუძლებელია დემურ გადელიას პიროვნებამ არ მოგხიბლოს და არ აღგვაფრთოვანოს!

ვერ ვიტყვი, რომ ადამიანებს (თავის მუშებსა და მოსამსახურეებს) ასწავლის შრომას, ქცევას და ტრადიციებისადმი პატივისცემას. არა, მაგრამ პირადი მაგალითით აძლიერებს შრომის კულტურას, ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს, უმძაფრებს სიყვარულსა და პატივისცემას კოლექტივისა და ოჯახის მიმართ.

არ უყვარს ფლიდი და ლაქუცა ადამიანები. მის გვერდით არ არის ადგილი უპასუხისმგებლო პირთათვის. ის რეალისტია, პრინციპული და მიზანმიმართული, გამოცდილების ულევი მარაგით, მდგომარეობის შეფასების უზადო ნიჭითა და ადამიანებთან დამოკიდებულებით.

ოთახში მარტოდ შთენილი სანთელი შეიძლება უაზროდ ენთოს და ბოლომდე ჩაიწვას. ბატონი დემური თავისი მრავალმხრივი ნიჭიერებით ამტკიცებს, რომ უაზროდ ვერ დაიწვება, მისი სიცოცხლის ლამპარი და ნათელი გონება მხოლოდ სასარგებლო საქმეებისკენაა მიმართული.

**არა მხოლოდ სამეგრელოში, სადაც ცხოვრობს ბატონი დემური, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში ნახევარ საუკუნეზე მეტია აგებს მშვენიერ გზებს, აშენებს და ქმნის ისეთ ინფრასტრუქტურას, რომელიც აუცილებელია ყოფითი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მოსახლეობას უადვილებს მიმოსვლასა და საქმიანობას. ეხმარება უპოვართ, ავადმყოფ ბავშვებსა და მოქალაქეებს, აშენებს და არემონტებს სალოცავებს, ეწევა სხვა სახის ქველმოქმედებას და არასდროს ითხოვს ყოველივე ამის აფიშირებას.**

ეს მისი ცხოვრების წესია, რომელიც მახედებს ამ უიშვიათესი ადამიანის სულიერ სამყაროში, მარწმუნებს, რომ მისებრ გამორჩეული თვისებებით, სამწუხაროდ, ბევრი არ არის დაჯილდოებული.

ბედნიერება, გქონდეს სიცოცხლისა და შრომის ისეთი უნარი, რომ აჯობო საკუთარ თავს, საკუთარ შესაძლებლობებს. ამის უნარი ოთხმოცი წლის ასაკშიც მაგიურად მოზღვავებულა მასში. არასდროს აკეთებს საქმეს ფაციფუცით. მუდამ ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის. ამიტომ უზადოა მისი მიერ შესრულებული სამუშაოები; რომელიც მოფენილია დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში, სვანეთის ჩათვლით.

არ შეიძლება, ადამიანი კეთილი და უხვი იყოს სხვებისთვის და ამავდროულად სიმხნევე და სიმამაცე არ ახასიათებდეს. სიკეთის ქმნა უკვე სიმამაცეა, ხოლო ნებისმიერი ქმედება, თუკი იგი სიკეთეს არ ემსახურება, მხოლოდ შიშველი ინსტინქტი.

მისი შინაგანი სამყაროს მუდმივი თანმდევი გახლავთ სამშობლო, ღმერთი და ადამიანი.

წლების რბოლამ მძიმე უღელი დააკისრა. არა ერთი ზეწოლის, დაუმსახურებელი შეურაცხყოფის მიუხედავად, დასძლია სირთულეები, მერე კავკასიონს მიჯაჭვული გმირივით „აიწყვიტა“ და უფრო მედგრად ჩააყენა საკუთარი საწარმო „არქეოპოლისი“ საზოგადოების სამსახურში. გონებრივი და ინტელექტუალური თაოსნობები ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც მიიტანა. იქაც საკუთარი რეგიონის ღირსეული წარმომადგენელი იყო.

ბევრი ამბობს, სახელმწიფოს გადასახადი გადავუხადე და დანარჩენი მისი საქმეაო. ჩვენი მთავრობა ადამიანების საკეთილდღეოდ დღეს მაქსიმუმს აკეთებს, და ეს მისასალმებელია. მხოლოდ მარტოოდენ გადასახადის გადახდას კეთილ, ღვთიურ საქმის კეთებასთან არაფერი აკავშირებს.

ეს ჭეშმარიტება კარგად აქვს გათავისებული ბატონ დემურ გადელიას. ამიტომაც არის ის გამორჩეული.

ღმერთმა გვიბოძა ეს ქვეყანა და გვითხრა: ააღორძინეთ, გამრავლდით, აშენდითო. უღმერთოს კეთილი საქმე არ გამოუვა. ბატონი დემური ცდილობს ღვთისნიერად იღვაწოს. იცის, სულის სიფაქიზის, სიყვარულისა და გონივრული გარჯის გარეშე ქვეყანა და ხალხი ვერ გაიხარებს, ეროვნული ბარაქა ვერ დაგროვდება.



მისი შინაგანი სამყაროს მუდმივი თანმდევი გახლავთ სამშობლო, ღმერთი და ადამიანი.
წლების რბოლამ მძიმე უღელი დააკისრა. არა ერთი ზეწოლის, დაუმსახურებელი შეურაცხყოფის მიუხედავად, დასძლია სირთულეები, მერე კავკასიონს მიჯაჭვული გმირივით „აიწყვიტა“ და უფრო მედგრად ჩააყენა საკუთარი საწარმო „არქეოპოლისი“ საზოგადოების სამსახურში. გონებრივი და ინტელექტუალური თაოსნობები ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც მიიტანა. იქაც საკუთარი რეგიონის ღირსეული წარმომადგენელი იყო.

როცა ხელდაკაპიწებული გარჯაა საჭირო, ოთახში ვერ ჩაიკეტება და ჩუმად ვერ იქნება გარინდული. დილის ექვს საათზე დგება და გვიან ღამემდე შრომობს. ამიტომაც გაბედულად პოულობს ბილიკებს წარმატებისაკენ.

**ვის შევადარო, ვის გავუტოლო?**

**წარსულის წიაღსვლებით, ლამაზ ფერებში მაგონდება ჩვენი ბეჭდაუდებელი ფალავანი ნესტორ ესებუა. ამ სენაკელმა გოლიათმა ტოლი არ დაუდო არავის, მუდამ გამარჯვებას ზეიმობდა შინაც, საზღვარგარეთაც. ბატონი დემურ გადელია ასევე გამარჯვებისთვისაა დაბადებული. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფრონტზე, სადაც იღვწის პირწმინდად იგებს. ეს მან საინჟინრო-სამშენებლო თუ საპარლამენტო მოღვაწეობისას მრავალჯერ დაამტკიცა.**

ცალკე და გამორჩეულად შეფასების ღირსია მეცნიერ დემურ გადელიას ეკონომიკური წინადადებები და ხედვა სამეგრელოს აღორძინებისთვის, რომელიც რამდენიმე წიგნად გამოიცა. ცნობილია, რომ საკუთარი პროექტი წინადადებების სახით შესთავაზა ხელისუფლებას. ეს ნაშრომები გახლავთ დახვეწილი მეცნიერული ხედვის მქონე ავტორის ნაღვაწი, საქმეში გამობრძმედილი მკვლევარის ნაშრომი.

განმარტებას არ საჭიროებს, რომ მოღვაწე, რომელიც რეალობას საღად აღიქვამს, დროის შესაბამისად მოქმედებს, ირგვლივ მყოფთათვის სასარგებლოა, ის ჭეშმარიტი ერისკაცია. მისი კეთილად მომზირალი თვალები და მგრძნობიარე გული კაშკაშა ფერებითაა სავსე. ამგვარ პიროვნებას არ შეუძლია თავი მოიტყუოს, რომ ირგვლივ ყველაფერი კარგადაა, არავის უჭირს და სტკივა. კარგად, ძალიან კარგად იცის, რომ ცხოვრება ბრძოლაა წუთისოფელთან და როცა განსაცდელშია ადამიანი, ვიმეორებ, დემურ გადელია ბევრს გვერდით უდგას, მშველელია, ხელშემწყობია. მისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

აქ ღირსეული პოეტის, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის გენო კალანდიას ლექსის სტრიქონები მახსენდება:

**„წავალ, დავდგები ფაზისის ხიდზე,**
**რომ ჩემი სისხლი წვეთი-წვეთ მოგცე,**
**მომეცი ნება, მიყვარდე ისე,**
**როგორც უყვარდი, მამულო, ცოტნეს“...**

ბატონი დემურ გადელია უკვე დგას ფაზისის ხიდზე. ნათელი და შინაარსიანი მოღვაწეობით ულევ სიყვარულს უძღვნის საქართველოსა და თანამოქალაქეებს. მის საქმიანობაში, მის ქცევაში ჩანს, რას ნიშნავს რწმენა, ღირსება, თავგანწირვა და პასუხისმგებლობა. მან გაითავისა უმთავრესი, თუ როგორ უნდა მიხვიდე ღმერთთან, რისთვის ღირს სიცოცხლე, რისთვის ღირს სიკვდილი. როგორ მოექცე მშობლების ხსოვნას. როგორ გამოავლინო შვილის და შვილიშვილების სიყვარული. როგორ გამოხატო შენი მიწის ტრფიალი.

**იცის, რომ ბრძოლას მუდამ აქვს აზრი!**

**27 მაისი ბატონ დემურ გადელიას დაბადების დღეა. ვუსურვებ მას მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.**

**ბორის დავითაია,**
**სენაკის საპატიო მოქალაქე, რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი**



---

ტნიორები არიან, ყველა საკითხში ერთმანეთს ეთანხმებიან, უკვე ძნელი სათქმელია. ვნახეთ, რომ ევროპას პრეტენზიები აქვს ამერიკასთან მაგ მხრივ. სავარაუდოა, რომ ევროპასაც აქვს პრეტენზიები თვითონ რუსეთთან დამოკიდებულების მხრივ. ბევრი ძალიან სერიოზული საკითხი შეიძლება მომწიფდეს.

**– გეოპოლიტიკური გადანაწილების ფონზე, სადაც რუსეთი არ იქნება მთავარი მოთამაშე, როგორი იქნება საქართველოს მიმართ მსოფლიოს დამოკიდებულება?**

– სავარაუდოა, რომ ევროპის დამოკიდებულება და თუ ისეთი დამოკიდებულება დარჩა, როგორზეც ვისაუბრეთ, იმ გაუგებრობით, რაც ამერიკის პოლიტიკას ახლავს ბოლო ხანებში და იმ ძიებით, რაც ევროპისთვის გახდა დამახასიათებელი – საყრდენის ძიებით, სავარაუდოა, რომ ევროპა ეცდება გააძლიეროს კავკასიური ხაზი და თვითონ რაც შეიძლება დიდი დოზით იყოს ამ ხაზზე მოცემული. როცა სატრანზიტო ხაზი მოდის ქვეყანაში, ქვეყანას აქვს იმის ინტერესი, რომ დაიცვას თავისი ხაზი და თავისი ტვირთები. წესით, ასეთი დაცვის სურვილი უნდა ჰქონდეს ევროპასაც და ჩინეთსაც.

**ჩინეთისა და ევროპის ურთიერთობაში ამერიკა რა როლს ითამაშებს, ეგ უკვე სხვა საკითხია. ჩინეთის და ევროპის მხრიდან ველოდები პოზიტიურ იმპულსებს კავკასიისკენ და კერძოდ, საქართველოსკენ. ამერიკული იმპულსები შეიძლება ასეთი პოზიტიური არ იყოს, თუკი ამერიკა აირჩევს კონფრონტაციის გზას. ოღონდ მეეჭვება ეს დიდხანს გაგრძელდეს, რადგან არასწორი, არალოგიკური და სულელური იდეა იქნება, რომ დაუპირისპირდეს ყველას მსოფლიოში.**

ბუნდოვანია რუსეთის ინტერესი ჩინეთის მიმართაც კი. ჩვენ ნუ ჩავთვლით, რომ დღევანდელ მსოფლიოში რამე გარკვეულია. ჩინეთმა რუსეთის მიმართ ძალიან ბევრი მკაცრი ნაბიჯი და ჟესტი გააკეთა. არ უნდა ჩაითვალოს, რომ იქ რუსეთისთვის ყველაფერი კარგად მიდის. ჩინეთმა ქალაქების რუკაც კი გამოაქვეყნა, რომელიც დღეს რუსულ სახელებს ატარებს და ამავე დროს ჩინური ქალაქებია და რაც მნიშვნელოვანია, გამოაქვეყნა ჩინური დასახელებით. ასეთი ჟესტი უკვე ნიშნავს დაპირისპირებას. ამ დაპირისპირებების წიაღში როგორ მომწიფდება რუსეთის ურთიერთობა ჩინეთთან, ევროპასთან და ან იგივე ამერიკასთან, ეს შეიძლება სწორედ ომის შემდგომი პერიოდის თემა იყოს და მერე გამოჩნდეს უფრო მკაფიოდ. დღეისთვის ეს ყველაფერი ბუნდოვანია, მაგრამ ის, რომ თუკი რუსეთი ანგარიშს უწევს ჩინეთს, ვვარაუდობ, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოზე აგრესიაც შემცირდება.

**ბაიდენი უკრაინის ომის ფონზე ბეჯითად იმეორებს „რუსეთი არ უნდა დაიშალოს“ და ეს იმასაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ რუსეთს შეუნარჩუნდეს გავლენის სივრცეების ის ნაწილი, რაც აშშ-ს არ აინტერესებს. უკრაინაში ჩადის ბაიდენი, ე.ი. აინტერესებს პირადად უკრაინა, მაგრამ ამერიკული ელიტის მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესი არ ჩანს. აშშ-ს ინტერესი მხოლოდ აკრძალვებში ჩანს. ეს მაფიქრებინებს, რომ ამერიკა ჯერჯერობით ნაკლებად არის დაინტერესებული საქართველოთი და შეიძლება მხარი დაუჭიროს აქ რუსეთის ინტერესების გატარებას. ვთვლი, რომ ეს არაა გამორიცხული, თუმცა მგონია, რომ მომავალში ვითარება შეიცვლება, მსოფლიო ცვლილებები ჩვენდამი დამოკიდებულებასაც შეცვლის.**

თამთა ქარჩავა



# დედაქალაქის მერი მოჭადრაკე მოზარდების გამარჯვებით აღფრთოვანებულია...

**დედაქალაქის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა.** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, ამჯერად, ვარკეთილში, კალოუბნის ქუჩის №18-ში მდებარე ავარიული კორპუსი ჩანაცვლდება.

**„ეს მძიმე კატეგორიის ავარიული შენობაა. აქ 30-მდე ოჯახი ცხოვრობს. ისინი უკვე ქირით გვყავს გაყვანილი. პროექტი შეთანხმებულია, ყველანაირი კვლევა ჩატარებულია. აღნიშნული კორპუსის ნაცვლად, თანამედროვე საცხოვრებელი სახლი აშენდება“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქში არსებული ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განახლება-რეაბილიტაციაც გაგრძელდება.

რაც შეეხება კიდევ ერთ პროგრამას, რომელიც საცხოვრებელი ფართების დაკანონებას ეხება, კახა კალაძის თქმით, დღემდე, ბინები 2 663 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა. დამატებით 200-მდე ოჯახის განცხადების განხილვის პროცესი კი, მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტი გვერდით დაუდგება ყველა ოჯახს, ვისაც მსგავსი პრობლემა აწუხებს. ამისთვის საჭიროა, მოქალაქეებმა მიმართონ რაიონულ გამგეობებს, სადაც დაკანონების პროცესში დაეხმარებიან.

ამასთან, თბილისის მერმა გუშინდელ სხდომაზე კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიზნით, 28 ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა.

**„კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებულად ცნობილია 3 500-ზე მეტი პირი. ჯამში, დაკმაყოფილებულია დაახლოებით, 2 500-მდე კოოპერატიული პირი.**

**მათი დაკმაყოფილების მიზნით, გამოცხადდა 28 ინტერესთა გამოხატვა. საუბარია, ჯამში 28 პროექტზე. აქედან 15 პროექტზე უკვე გაცემულია სამშენებლო ნებართვა, რომლის ფარგლებში დაკმაყოფილდება 1000-მდე პირი; სანებართვო ეტაპზეა 9 პროექტი და სამშენებლო ნებართვის გაცემის შემდეგ, დაკმაყოფილდება 550-მდე პირი; ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზეა 4 პროექტი, უკვე გამოვლენილია შესაბამისი გამარჯვებული ინვესტორები და შედეგად იგეგმება 400-მდე პირის დაკმაყოფილება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დღესდღეობით შემოსულია კიდევ 615-მდე დაზარალებული პირის განცხადება და ამ მოქალაქეების ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა მოხდება მიმდინარე და მომდევნო წლის განმავლობაში.

მერმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს, სამშენებლო კომპანიებს, რომლებიც აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში არიან ჩართული.

* * *

თბილისის მერიამ 22 მაისიდან დაიწყო სპეციალური სტიკერების დარიგება A კატეგორიის იმ ტაქსებისთვის, რომელთა ასაკი 10 წელს არ აღემატება. კახა კალაძის თქმით, აღნიშნული სტიკერები იქნება მაიდენტიფიცირებელი იმისა, რომ მათ საავტობუსო ზოლში შეეძლებათ გადაადგილება.

**„პირველი ივნისიდან A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს, რომლებსაც 10 წლამდე ავტომობილი ჰყავთ, ვაძლევთ შესაძლებლობას, საავტობუსო ზოლებში იმოძრაონ. 22 მაისიდან დავიწყეთ სტიკერების გაცემა, რაც იქნება მაიდენტიფიცირებელი იმისა, რომ აღნიშნულ ავტომობილს აქვს შესაძლებლობა, იაროს საავტობუსო ზოლში. ეს სტიკერი უნდა განთავსდეს ტაქსის საქარე მინაზე, მარჯვენა ზედა კუთხეში. დანარჩენ ავტომობილებს, რომელიც არის A კატეგორიის და ასაკით 10 წლის ზემოთ, მხოლოდ იმის უფლება ექნებათ, რომ მგზავრი აიყვანონ და ჩაისვან საავტობუსო ზოლში“,** – განაცხადა თბილისის მერმა.

დაწყებულია QR კოდების გაცემაც, რაც ტაქსებში მგზავრობის ბარათით გადახდის შესაძლებლობას იძლევა.

კახა კალაძემ გამარჯვება მიულოცა რვა წლის მარიამ რეხვიაშვილს, რომელიც ჭადრაკში ევროპის სასკოლო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

**„მინდა, ერთი სასიხარულო ინფორმაცია მოგაწოდოთ: ამ დღეებში ალბანეთის ქალაქ დურესში დასრულდა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც თბილისის მერიის ეროვნული სასახლის ვახტანგ ქარსელაძის სახელობის ჭადრაკის სკოლის აღსაზრდელი 8 წლის მარიამ რეხვიაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა.**

**მინდა, მადლობა გადავუხადო მარიამის მწვრთნელს, ბატონ იოსებ კვირიაშვილს. ასევე, მინდა, მარიამს მივულოცო, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი წარმატებები ჩვენი ქვეყნისთვის, მომავალი თაობებისთვის. როგორც ვიცი, მარიამი ასპარეზობის დროს ავად გახდა, თუმცა ამის მიუხედავად მაინც შეძლო ოქროს მედალი მოეპოვებინა“,** – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

ქართველმა მოზარდებმა ოთხი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

**„ვულოცავთ ჩვენს მოჭადრაკეებს მიღწეულ წარმატებას და მარიამს გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. მიხარია, რომ ბოლო წლების განმავლობაში სპორტში გვაქვს ძალიან დიდი მიღწევები და წარმატებები, რაც თითოეულ ქართველს, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს სიამაყის გრძნობას გვიმაღლებს“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი – თინა ჯავახიშვილი წარუდგინა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში 1968 წლიდან მუშაობს.

**„ქალბატონი თინა ჯავახიშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტია ბოტანიკური ბაღის სიყვარულითა და ბაღზე ზრუნვით ცხოვრობს. მან საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში აგრონომის პოზიციაზე მუშაობა 1968 წელს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ნიკო კეცხოველის რეკომენდაციით დაიწყო. მის საკურატორო სივრცეს მთელი ამ წლების განმავლობაში ქართული ლანდშაფტური დიზაინის ფუძემდებლის, გიორგი მანაგაძის მიერ შექმნილი მხატვრულ-დეკორატიული ნაკვეთი – „პარტერი“ წარმოადგენდა. სწორედ მისი დამსახურებით შენარჩუნდა ბოტანიკური ბაღის ეს ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა, რომელიც თბილისელებისთვის და უცხოელი სტუმრებისთვის დღესაც გამორჩეულ ადგილს წარმოადგენს“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

# შალვა პაპუაშვილი ხავიერ კოლომინას შეხვდა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სპეციალურ წარმომადგენელს, ხავიერ კოლომინას შეხვდა.**

შალვა პაპუაშვილმა მადლობა გადაუხადა ნატოს წარმომადგენელს მისი პირადი ძალისხმევისთვის, ხელი შეუწყოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ არსებული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს პროგრესი ნატოში გაწევრიანების გზაზე. ხავიერ კოლომინამ დადებითად შეაფასა საქართველოსა და ნატოს შორის არსებული თანამშრომლობა. მისი თქმით, საქართველო ნატოს ღირებული პარტნიორია და ურყევია ნატო-ს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. შალვა პაპუაშვილმა ხავიერ კოლომინას ევროკავშირის 12 რეკომენდაციის განხორციელების პროგრესზე ესაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ წლის ბოლოს ევროპული საბჭო მიანიჭებს საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. ხავიერ კოლომინას თქმით, მისასალმებელია დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით საქართველოს პროგრესი. მან აღნიშნა, რომ ნატო გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას. შეხვედრას საქართველოს მხრიდან ასევე ესწრებოდნენ ნატოში საქართველოს წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვიქტორ დოლიძე და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია.



# ავტომობილებზე დიდი მოთხოვნაა – რეექსპორტი სწრაფად იზრდება

**წელს ავტომობილებზე მოთხოვნა რეგიონსა და შუა აზიის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც საქართველოს რეექსპორტის მკვეთრი ცვლილება გამოიწვია. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ მეზობელ ქვეყნებში უკვე შედარებით ძვირადღირებული მანქანები გადის, რაც შემოსავლიანობას საგრძნობლად ზრდის.**

კომპანია „კავკასიის ავტოიმპორტის“ ხელმძღვანელი **გიორგი სურგულაძე** რეექსპორტის ზრდის მიზეზებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ტრენდი საშუალო და გრძელვადიან პერიოდშიც შენარჩუნდება.

**„ავტომობილებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ყაზახეთი, ყირგიზეთი და სხვა ქვეყნები, ძირითადად, შუა აზიის მიმართულება, მეორადი ავტომობილებით რუსეთიდან მარაგდებოდა. ახლა რუსეთს უკვე თვითონ აქვს დეფიციტი და ამ ქვეყნების ბაზრებზე ავტომობილებს ვეღარ გზავნის.**

**ჩამოთვლილ ქვეყნებში მოთხოვნა გაიზარდა, რასაც საქართველოს ბაზრიდან იმპორტით იკმაყოფილებენ. ამიტომ მოსაზრება, რომ აზერბაიჯანის ბაზარზე მოთხოვნის ზრდა ევრო 5-თან დაკავშირებულ რეგულაციას უკავშირდება, მცდარია. აზერბაიჯანში, მანამდეც ძირითადად 2013 წლის შემდეგ გამოშვებული მანქანები იგზავნებოდა და ძველი ავტომობილების წილი ძალიან მცირე იყო, ამიტომ რეგულაცია ვერ იქონიებს გავლენას. რეექსპორტის დინამიკა დადებითია, რომელიც შენარჩუნდება და უფრო მზარდიც იქნება“.**

თუკი შარშან ცენტრალური აზიის ბაზარზე, საშუალოდ, 10 ათასი დოლარის ღირებულების ავტომობილები გადიოდა, წელს ეს ფასი 17 ათას დოლარამდეა გაზრდილი.

საქართველოს ავტოიმპორტიორთა ასოციაციის დამფუძნებელი **ალექსი ნონიაძე** ადასტურებს, რომ შუა აზიის ქვეყნები საქართველოდან მაღალბიუჯეტიანი ავტომობილების იმპორტს ახდენენ.

**„შუა აზიის ქვეყნებში ყველაზე მოთხოვნადი ბიზნეს კლასის, ჰიბრიდული ავტომობილებია და სწორედ ამ ტიპის მანქანები გადის ექსპორტზე საქართველოდან. მაგალითად, სომხეთსა და აზერბაიჯანში, უფრო დაბალ საფასო სეგმენტში არსებულ ავტომობილებს ყიდულობენ, საშუალოდ, 12-13 ათასი დოლარის ღირებულების. თუმცა, ასე ვერ განვაზოგადებთ, ყველა ბაზარზე გადის როგორც ეკონომ, ისე ბიზნეს კლასის ავტომობილები“,** – აღნიშნა ნონიაძემ.

საქართველოდან მანქანების ექსპორტი, ბოლო 1 წელში, განსაკუთრებით გააქტიურდა სომხეთში. ავტომობილების გაყიდვები განახლდა უკრაინაშიც. როგორც საქართველოს ავტოიმპორტიორთა ასოციაციის დამფუძნებელი ამბობს, საექსპორტო ქვეყნების სიაში ლიდერობენ – აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ყაზახეთი და ტაჯიკეთიც.

2023 წლის იანვარ-აპრილში საქართველოდან უცხოეთში რეკორდული მოცულობის 595 მილიონი დოლარის ღირებულების 33 ათასი ავტომობილი გავიდა რეექსპორტზე. ეს მოცულობა წინა წელთან შედარებით 351%-ით მეტი იყო.

**ავტოექსპორტის სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი – 150 მილიონი დოლარი – 11,663 ავტომობილი; ყაზახეთი – 136 მილიონი დოლარი – 7,719 ავტომობილი; ყირგიზეთი – 127 მილიონი დოლარი – 3,283 ავტომობილი; სომხეთი – 113 მილიონი დოლარი – 6,339 ავტომობილი; რუსეთი – 31 მილიონი დოლარი – 2,150 ავტომობილი.**

**ბექა დანელია**



## ქოზულაძის „ლედამ“ ხელოვნების მუზეუმში დაიდო ბინა

**შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად გადაეცა გამოჩენილი ქართველი გრაფიკოსის, თეატრის მხატვრისა და ფერმწერის, სერგო ქოზულაძის, 1928 წელს შესრულებული ნამუშევარი – „ლედა“. ნამუშევარი მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდს მისმა მესაკუთრემ, ალექსანდრე ნაჭყებიამ, გადასცა.**

გადაცემის შესაბამის აქტს ხელი ხათუნა კიკვაძემ – შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე ქართული ფერწერისა და გრაფიკის ფონდზე პასუხისმგებელმა პირმა და ალექსანდრე ნაჭყებიამ კულტურის სამინისტროში მოაწერეს, მანამდე კი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

თეა წულუკიანმა ალექსანდრე ნაჭყებიას სახელმწიფო მუზეუმის სახელით მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამიერიდან ექსპონატი ხელოვნების მუზეუმში დაიდებს ბინას და სამინისტროს მიერ სამუზეუმო ფონდისთვის შეძენილი სერგო ქოზულაძის ნამუშევრების კოლექციას შეემატება. ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ლედა სპარტის მეფის, ტინდარეს მეუღლე იყო. მისმა სილამაზემ ისე მოხიბლა ზევსი, რომ იგი გედად გადაიქცა და მას შეერწყა. გედის ლედასთან შეუღლების თემა იტალიელი მხატვრების: მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, ტინტორეტოსა და სხვათა შთაგონების წყაროდ იქცა.

## კულტურის სამინისტრომ 11 თეატრს მიკროავტობუსები გადასცა

**კულტურის სამინისტრომ, მიკროავტობუსები თბილისისა და რეგიონების 11 თეატრს გადასცა.** თეა წულუკიანის განმარტებით, ახალი მიკროავტობუსები, თითოეულ დასს გადაადგილებასა და რეკვიზიტების გადატანაში დაეხმარება, ასევე მათ, საშუალებას მისცემს იმოგზაურონ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება და გახადონ თეატრი საყოველთაო.

## გამოიცა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების სახელმძღვანელო



**საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა.** სახელმძღვანელო გენერალური პროკურატურის ორგანიზებით გამოიცა და მის შექმნაზე პროკურორებმა იმუშავეს. ინფორმაციას უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

ღონისძიება საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ გახსნა. სახელმძღვანელოს პრეზენტაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, გენერალური პროკურორის მოადგილეები, პროკურატურის, ევროკავშირის და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## პოლონელთა საჩუქარი მაშველებს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 4 ერთეული სპეციალური ავტო-ტექნიკა შეემატა. სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტს 3 ერთეული სამაშველო მანქანა პოლონეთის სახელმწიფო სახანძრო სამსახურმა გადასცა. ერთი თანამედროვე მაგირუსის ფირმის სახანძრო ავტო-ცისტერნა კი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეიძინა.**

სახანძრო-სამაშველო ავტო-ტექნიკა ქართველ მეხანძრე-მაშველებს გადაეცემათ, რაც გაზრდის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხს.



## სახელმწიფოს კუთვნილი 500 000 დოლარი მიითვისა!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, კახეთის საოლქო პროკურატურასთან კოორდინაციით, გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, გულგრილობისა და სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტებზე, პასუხისგებაში ოთხი პირი მიეცა, რომელთაგან დაკავებულ იქნა ერთი მეწარმე სუბიექტი. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-სა და კახეთის რეგიონში რეგისტრირებულ ერთ-ერთ კოოპერატივს შორის, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა თანადაფინანსების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო აფინანსებდა კოოპერატივის მიერ ყურძნის მიღება-გადამუშავებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარის შეძენას, რისთვისაც მას გადაეცა თანხა 500 000 ლარის ოდენობით.**

**ბრალდებულმა – კოოპერატივის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო თანხის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზნით, სხვა კომპანიის ხელმძღვანელების გულგრილობის შედეგად, გამოიყენა აღნიშნული კომპანიის სახელი და გააყალბა ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე კერძო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის მეშვეობით, მოიპოვა ყალბი დასკვნა ინვენტარის თითქოსდა ობიექტზე განთავსების თაობაზე.**

**შემდგომ, ბრალდებულმა აღნიშნული ყალბი დოკუმენტაცია წარუდგინა სოფლის განვითარების სააგენტოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დასადასტურებლად, რა გზითაც, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სახელმწიფოს მიერ გაცემულ თანადაფინანსების თანხას – 500 000 ლარს.**

**გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე, 362-ე, 2201 და 182-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-იდან 11 წლამდე ვადით“.**

## ორი თვეა მოზარდის გარდაცვალების მიზეზებს იკვლევენ...

**ლიეტუვის გენერალურმა პროკურატურამ დიდ დიღომში 12 წლის ანა იანუშაიტიტეს გარდაცვალების საქმის გამოძიება კონტროლზე აიყვანა და თბილისიდან ინფორმაცია გამოითხოვა.** როგორც გარდაცვლილი გოგონას მამა ლიეტუვურ მედიას უყვება, მისი შვილის სიკვდილიდან უკვე ორი თვე გავიდა, თუმცა ისინი დღემდე პასუხების ძიებაში არიან, თუ რა მოხდა 16 მარტის ღამეს.

**„40-მდე დაზიანება, სისხლნაჟღენთები და ნაჭდევები სხეულზე“** – სამხარაულის ბიუროს დასკვნა 12 წლის გოგონას გარდაცვალების საქმეზე მშობლები ლიეტუვის პროკურატურას გამოძიების დაჩქარებაში დახმარებას სთხოვენ.

**„თავიდანვე, პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ ჩვენთვის დაემტკიცებინათ, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო, ასე განუცხადეს მედიასაც, თუმცა ეს ვერსია საერთოდ არ არის დამაჯერებელი, საქართველოში ამის არავის არ სჯერა, ახლა ყველა ცდილობს, თავიანთი ბავშვების დაცვას და სურთ, ანას მკვლელის პოვნაში დაგვეხმარონ. მხოლოდ პოლიცია არ ეძებს მას და გაურკვეველია, დაიწყებს თუ არა მის ძებნას“,** – აცხადებს გარდაცვლილი გოგონას მამა ლიეტუვურ მედიასთან ინტერვიუში.

მისივე თქმით, გამოძიების დასაწყისში ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც სამხილების განადგურება გამოიწვია.

**„ეს ძალიან გვთრგუნავს – გამოძიების დასაწყისში სამართალდამცველებმა ჩვენთან ყოველი შეხვედრის დროს, გვითხრეს, რომ ჩვენი გოგონა, სავარაუდოდ, სეირნობისას, „ჩიფსების“ ჭამისას დაიხრჩო. თუმცა ეს საერთოდ არ შეესაბამება იმ გარემოებებს, რომლებიც ჩვენ აღმოვაჩინეთ. მე ლიეტუველი ვარ, ჩემი ცოლი ქართველია“,** – აღნიშნავს გოგონას მამა და ლიეტუვურ მედიას უყვება, რომ გოგონას მრავალი დაზიანება ეტყობოდა სხეულზე, მათ შორის, კისრის არეში.

როგორც Delfi.lt წერს, ლიეტუვის გენერალურ პროკურატურაში დაუდასტურეს, რომ დაინტერესებული არიან საქართველოში მიმდინარე გამოძიების დეტალებით, თუმცა არ შეუმჩნევიათ, რომ ადგილობრივი სამართალდამცავი უწყებები არასათანადოდ მუშაობენ, ან აჭიანურებენ გამოძიებას.

**„საქართველოში ლიეტუვის რესპუბლიკის ახალგაზრდა მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, გენერალური პროკურორი ნიდა გრუნსკიენე ამ შემთხვევის გამოძიების თაობაზე საქართველოს გენერალურ პროკურორს ირაკლი შოთაძეს დაუკავშირდა.**

**მას შემდეგ, რაც გარდაცვლილი გოგონას ახლობლებმა ეჭვი გამოთქვეს მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, ლიეტუვის ელჩმა საქართველოში ანდრიუს კალინდრამ ოჯახის თხოვნით მიმართა ლიეტუვის გენერალურ პროკურორს. საქართველოსა და ლიეტუვის გენერალური პროკურორების სატელეფონო საუბრისას, ირაკლი შოთაძე დათანხმდა, რომ ლიეტუვის პროკურორი და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი თბილისში ჩამოსულიყვნენ გამოძიებისთვის.**

**ახლობლების ეჭვების გასაქარწყლებლად, ლიეტუვის ოფიციალური პირები გაემგზავრნენ საქართველოში, სადაც საქართველოს ძალოვანი უწყების წარმომადგენლების ნებართვით გაეცნენ (თარჯიმნების დახმარებით) დოკუმენტის მასალებს. წარდგენილი სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოწოდებული მასალების განხილვისას არ გამოვლენილა წინასწარი გამოძიების არასათანადო ჩატარების ან შესაძლო გაჭიანურების ნიშნები“,** – აცხადებენ გენერალურ პროკურატურაში.

## ქუთაისის №16 საჯარო სკოლის დირექტორს ბრალდება წარუდგინეს!

**საქართველოს პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე ქუთაისის №16 საჯარო სკოლის დირექტორს ბრალდება წარუდგინა.**

როგორც პროკურატურის ინფორმაციაშია ნათქვამი, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების საფუძველზე დაიწყო, რომლის მიხედვითაც შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა სკოლის კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტს.

**„ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელსაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სკოლის ფინანსების სწორ და მიზნობრივ ხარჯვაზე, არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა. მან არ დააწესა სათანადო კონტროლი და მონიტორინგი სკოლის საბანკო ანგარიშიდან განხორციელებულ ტრანზაქციებზე, რამაც შესაძლებლობა მისცა დაწესებულების ბუღალტერს, უკანონოდ მიეთვისებინა 57 758 ლარი“,** – აღნიშნულია პროკურატურის ინფორმაციაში.

სკოლის დირექტორს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა) წარედგინა. პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

**„საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ამავე სკოლის ბუღალტერი, რომელიც პარალელურად იყო ქუთაისის №22 საჯარო სკოლის ბუღალტერიც, ორივე სკოლიდან დიდი ოდენობით თანხის მითვისებისთვის მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. ასევე, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე მიცემულია ქუთაისის №22 საჯარო სკოლის დირექტორიც. ორივე ბრალდებულის მიმართ საქმეები არსებითად იხილება სასამართლოში“,** – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

## საგარეჯოში უზბეკი ქალის მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1975 წელს დაბადებული გ.ხ. დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.

**„გამოძიებით დადგინდა რომ, ბრალდებულმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, წარმოშობილი კონფლიქტის შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, დიდი ხნის ნაცნობს, 1969 წელს დაბადებულ ჟ.ტ.-ს ბლაგვი საგნით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.**

**გ.ხ.-მ კვალის დაფარვის მიზნით ქალის ცხედარი მდინარეში გადააგდო, თავად კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“.**



ტრიუმფი

# ნიჭის ზეიმი

**ალბანეთის ქალაქ დურესში დასრულდა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც დიდი წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მოზარდებმა. მათ ანგარიშზე 4 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალია.**

**ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს:**

9 წლამდე ასაკის გოგონათა შორის – **მარიამ რეხვიაშვილი** (თბილისი; მწვრთნელი **იოსებ კვირიაშვილი);** 11 წლამდე ასაკის გოგონათა შორის – **ანასტასია ჭიჭინაძე** (ქუთაისი; მწვრთნელები – **დავით ბენიძე; გია მენაბდე**); 13 წლამდე ასაკის გოგონათა შორის – **კესარია მგელაძე** (ბათუმი; მწვრთნელები – **ნოდარ ლორთქიფანიძე; ნიკოლოზ მანაგაძე**); 15 წლამდე ასაკის გოგონათა შორის – **ანასტასია კირთაძე** (ქუთაისი; მწვრთნელი **გიგა ყუფარაძე**);

**II საპრიზო ადგილზე გავიდნენ:**

15 წლამდე ასაკის გოგონათა შორის – **მარიამ ცეცხლაძე** (ბათუმი; მწვრთნელი **დავით მაღალაშვილი**); 7 წლამდე ასაკის გოგონათა შორის – **სოფია ლიმარი** (ლაგოდეხი; მწვრთნელი **ხვიჩა ბახტაძე**);

**III საპრიზო ადგილზე გავიდნენ:**

7 წლამდე ასაკის გოგონათა შორის – **ემილი გოგოლაძე** (ქუთაისი; მწვრთნელი **ხათუნა გუბელაძე**); 15 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის – **ლუკა კილაძე** (თბილისი; მწვრთნელები **ზურაბ სტურუა; დავით ზარქუა**).

არჩევანი

# ღირსეული თავკაცი



**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა სპორტის სხვადასხვა სახეობების ეროვნული ნაკრების წევრ სპორტსმენთა წარმომადგენლობითი შეკრება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სპორტსმენთა კომისიის შემადგენლობის როტაციაში.**

დამსწრე საზოგადობას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს, სპორტსმენთა უფლება-მოვალეობების და სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა,** ვიცე-პრეზიდენტმა **ნინო სალუქვაძემ,** გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა **რუსუდან აფციაურმა.**

სეოკ-ის წარდგინებით, სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს კარატისტი **გოგიტა არქანია,** თავმჯდომარის მოადგილედ – ძიუდოისტი **ეთერ ლიპარტელიანი.**

**სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის სრული შემადგენლობა ასეთია:**

**გოგიტა არქანია** (კარატე) – თავმჯდომარე. **ეთერ ლიპარტელიანი** (ძიუდო) – თავმჯდომარის მოადგილე, **ლუბა გოლოვინა** (ტანვარჯიში) – კომისიის წევრი, **ნათია გადელია** (ძალოსნობა) – კომისიის წევრი, **ლაშა გურული** (კრივი) – კომისიის წევრი, **ალექსანდრე წივწივაძე** (კანოე) – კომისიის წევრი, **გივი მაჭარაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა) – კომისიის წევრი, **სოსო ჯაფარიძე** (სამთოსათხილამურო სპორტი) – კომისიის წევრი, **გიორგი მაგრაქველიძე** (წყალბურთი) – კომისიის წევრი, 1**გიორგი მუჯარიძე** (მძლეოსნობა) – კომისიის წევრი, **ცოტნე მაჭავარიანი** (ტყვიის სროლა) – კომისიის წევრი.

სეოკ-ის სპორტსმენთა კომისია წარმოადგენს ერთგვარ საკონსულტაციო ორგანოს და შემაკავშირებელ რგოლს ოლიმპიურ კომიტეტსა და აქტიურ სპორტსმენებს შორის.

კომისია მოწოდებულია იზრუნოს სპორტსმენთა უფლებების დაცვაზე, სეოკ-ის აღმასკომის სხდომებსა თუ სესიებზე წარადგინოს კონკრეტული წინადადებები და შეხედულებები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

თარიღი

# კაცი-ლეგენდა

**ქართველმა კალათბურთელებმა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან სამამულო სპორტის მატიანეში არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს. ჩვენი ქვეყანა სამართლიანად ამაყობს ამ სახეობის ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებითა და პრიზიორებით, ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს ჩემპიონატებში ქართველთა გამარჯვებებით.**

ამ წარმატებებს საფუძველი სამამულო კალათბურთის კორიფეებმა – **ოთარ ქორქიამ** და **ნოდარ ჯორჯიკიამ** ჩაუყარეს, რომლებიც 1947 წელს პირველად გახდნენ ევროპის ჩემპიონები.

**ოთარ ქორქია,** შესანიშნავი კალათბურთელი, დიდი სპორტსმენისა და პიროვნების არაჩვეულებრივ სიმბიოზს წარმოადგენდა. თანამედროვეთა თქმით, საბჭოთა ნაკრების კაპიტანს მატჩებისას თავი არასდროს დაუზოგავს, რომ არაფრის ეშინოდა, მის გვერდით ნახევარი ძალით თამაში, უბრალოდ, სირცხვილი იყო. ისინი საბჭოთა კალათბურთში ვერც იხსენებდნენ ისეთ სპორტსმენს, რომელსაც მოთამაშეებსა და მწვრთნელებს შორის ოთარის მსგავსი ავტორიტეტი ჰქონოდა.

რუს სპეციალისტს – ალექსანდრ გომელსკის უთქვამს: „ოთარ ქორქია კალათბურთელთა კაპიტნებს შორის ერთ-ერთი სახელგანთქმულია. მის სახელს მეგობრები და თაყვანისმცემლები ყოველთვის პატივისცემით წარმოთქვამდნენ, მეტოქენი კი – თრთოლვით. მისი 105 კილოგრამის მიუხედავად, ფიზიკურად ძალიან ძლიერი, კარგად მხტომელი და სწრაფი ოთარ ქორქიას ფარქვეშ შეჩერება შეუძლებელი იყო“.

საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს სასპორტო გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვისას სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა ქართველი კალათბურთელი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად აღიარეს...

ათ წელზე მეტ ხანს გამოდიოდა ქუთაისელი ჭაბუკი დიდ სარბიელზე და ყველგან – საბჭოთა კავშირსა თუ მის ფარგლებს გარეთ – აღტაცებას ჰგვრიდა ურიცხვ გულშემატკივარს.

არჩეული გზისთვის არასდროს უღალატია. ჯერ ქუთაისის „დინამოში“ (1943-1946), შემდეგ კი თბილისის „დინამოს“ (1947-1958) შემადგენლობაში თამაშობდა. იყო სსრკ ნაკრების წევრი (1947-1955) და მისი კაპიტანი (1953-1955), დაძაბული შრომისა და ოფლის ფასად ბევრი ჯილდო მოიხვეჭა. მის კოლექციას ამშვენებს 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის პირველობათა სამ-სამი ოქროს ჯილდო. სამჯერ გაიმარჯვა სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში, ორჯერ მოიგო საკავშირო თასი. ერთხელ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ხვდა. იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს (ორჯერ) მედალოსანი.




1954 წელს თბილისის „დინამო“ მესამედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად იმ წელს დააწესეს საუკეთესო მოთამაშეების პრიზები. ამ ჩემპიონატში მთავარი ჯილდო ოთარ ქორქიას ერგო. 1962 წელს მისი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ“ მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებას – ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. 1968-1970 წლებში კამბოჯის ქალთა და ვაჟთა ეროვნულ გუნდებს წვრთნიდა. სპორტის დამსახურებულ ოსტატს ჭაბუკობისას ბადროს ტყორცნაში დამყარებული აქვს საკავშირო რეკორდი.ეს მოხდა 1939 წელს ხარკოვში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე. აქ მან ბადრო 50-მეტრიან ნიშნულს გადააცილა და საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მძლეოსნობაში მაინც არ დარჩა – ბავშვობის სიყვარულმა გადასძალა.

პირველ დიდ წარმატებას 1947 წელს პრაღაში ევროპის მე-5 ჩემპიონატზე მიაღწია. საპრიზო ადგილებისთვის 14 გუნდი იბრძოდა. საბჭოთა კალათბურთელებმა ყველას აჯობეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. როცა ქართველი ცენტრალური თავდამსხმელი მოედანზე იდგა, მის ფონზე რუსები იკარგებოდნენ, ამიტომ მწვრთნელები ჩვენებურს სათამაშო დროს უზღუდავდნენ. მართალია, ქორქია პრაღის ჩემპიონატზე მხოლოდ ოთხ მატჩში მონაწილეობდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან საბჭოთა ნაკრებს 59 ქულა მოუტანა. ფინალურ მატჩში მასპინძლებთან მატჩისას საკუთარ გუნდს 23 ქულა შესძინა, ამიტომაც შემთხვევითი არ ყოფილა, რომ პრაღის ერთ-ერთმა გაზეთმა ქართველ სპორტსმენს „კალათბურთის ევერესტი“ უწოდა. ამ ჩემპიონატზე ოთარ ქორქიას „საუკეთესო სნაიპერის“ პრიზი ერგო – საბჭოთა კალათბურთელთაგან პირველად და უკანასკნელად!

იყო სხვა წარმატებებიც: საბჭოთა კალათბურთელებმა 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს. ამ ტურნირზე ოთარ ქორქიამ საბჭოთა გუნდს 138 ქულა მოუტანა. მართალია, ჩვენებური ამერიკელ კლაიდ ლოველეტზე 18 სანტიმეტრით დაბალი იყო, მაგრამ ოლიმპიადის საუკეთესო ცენტრად, სწორედ, ის დაასახელეს.

დაუვიწყარია ისიც, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით,1962 წლის 29 ივნისს თბილისის „დინამომ“, რომელსაც ოთარ ქორქია ხელმძღვანელობდა, ჟენევაში მადრიდის „რეალს“ აჯობა და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა...

**ქართული კალათბურთის ბერმუხა, კაცი-ლეგენდა ოთარ ქორქია 82 წლისა 2005 წლის 12 მარტს გარდაიცვალა, 2023 წლის 10 მაისს კი მას 100 წელი შეუსრულდა!**

**ვაჟა დანელია**




# ხვიჩა კვარაცხელია, „ნაპოლი“ და თბილისის „დინამო“

**გასაგები მიზეზების გამო „ნაპოლის“ თამაშს გულდასმით მეც ვადევნებ თვალყურს, თუმცა კი მხოლოდ თამაშის 77-ე და 78-ე წუთამდე, ანუ იმ მომენტამდე, ვიდრე მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი ქართველს ელმასით შეცვლიდეს. როგორც კი ეს უკანასკნელი შეცვლაზე შემოდის (თუმცა კი ხვიჩა ზოგჯერ შეხვედრას ბოლომდე ატარებს!), თამაშისადმი ჩემი ინტერესი უმალ ქრება და ტელევიზორსაც ვთიშავ.**



ეს, დაახლოებით, ისე ხდება, როგორც ერთ წვერებიან ანეკდოტშია: „პამიდორი გიყვარს? – მარტო საჭმელად, ისე კი მაგის დედაც...“ თამაშებს ვუყურებ? – მარტო ხვიჩას ხათრით... ისე კი, რაში მაინტერესებს...

ამას იმიტომ ვამბობ, რომ საქართველოში „ნაპოლის“ თამაშისადმი ინტერესის მიზეზი ჩემთვის სავსებით გასაგებია. მაგრამ, ჩემთვის, როგორც რიგითი გულშემატკივრისთვის – გაუგებარია ის ზღვარგადასული აღფრთოვანება და გულის განმგმირავი წივილ-კივილი, რომლებითაც იტალიის ჩემპიონატში გამარჯვებას თავად ნეაპოლელები შეხვდნენ. არ მესმის, რაა იმაში ასე სასიხარულო, თუკი კაცმა იცი, რომ შენი ქალაქის სახელით ქვეყნის ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდში თერთმეტი მოთამაშიდან ცხრა – უცხოელია, ორი დანარჩენი კი არავინ იცის, იტალიის რომელი ქალაქიდანაა! ვერ წარმომიდგენია, თუ ოდესმე სიხარულით ცას ვეწევი, თუკი ვთქვათ, რომელიმე პრესტიჟულ ტურნირში გამარჯვებულ თბილისის „დინამოში“ ცხრა ისეთი მოთამაშე იქნებოდა, ჯიბეში უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი რომ უდევს, რადგან ეს წარმატების კი არა, პირიქით – კლუბში შექმნილი სრულიად სამარცხვინო ვითარების, ქვეყნის ახალგაზრდობასთან მუშაობის სრული ჩავარდნის მოწმობა იქნებოდა!

მახსოვს, ათიოდე წლის წინათ, ფეხბურთში მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონატის დროს, ცოტა არ იყოს, უკბილოდ ვიხუმრე, რომ საფრანგეთის დროშით, რომელშიც შვიდი თუ რვა შავკანიანი სპორტსმენი თამაშობდა, აფრიკის ნაკრები თამაშობს-მეთქი. მეგობრებმა შემარცხვინეს, ფეისბუკში ლამის რასიზმში დამდეს ბრალი, თუმცა კი – ღმერთი, რჯული, – მსგავსი რამ გულშიაც არ გამივლია! უბრალოდ, ვივარაუდე, რომ ისინი ნატურალიზებული ფრანგები, კოლონიური აფრიკის ქვეყნების ფერადკანიანი წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ჩემპიონატამდე გარკვეული ხნით ადრე, ნაკრების გასაძლიერებლად, საფრანგეთის მოქალაქეობის საბუთები ჩამოურიგეს. ჩემი ეჭვი არ გამართლდა, თითოეულ შავკანიან მოთამაშეზე ვიკიპედიაში ცნობები მოვიძიე და აღმოჩნდა, რომ ყველანი საფრანგეთში არიან დაბადებულნი, ამდენად ქვეყნის სახელით ასპარეზობის სრული უფლება ჰქონდათ.

მაგრამ, ვიმეორებ, რომ იქ საქმე ეხებოდა ნაკრებს, „ნაპოლიში“ კი სულ სხვა ვითარებაა – იქ თითქმის მთელი გუნდი უცხოელები არიან, რომლებიც ხვალ-ზეგ შეიძლება სხვადასხვა ევროპულ კლუბებში აღმოჩნდნენ.

ამ საკითხისადმი, დანამდვილებით ვიცი, რომ ფეხბურთის ქართველ მოყვარულებს განსაკუთრებული მიდგომა აქვთ. ყველა გუნდის წევრი, რომელიც კი საქართველოს სახელით მრავალრიცხოვან ტურნირში მონაწილეობდა – დაწყებული სსრ კავშირის ჩემპიონატებიდან, დამთავრებული საერთაშორისო ტურნირებით – ყოველთვის ადგილობრივი მოთამაშეებით იყო ხოლმე დაკომპლექტებული. შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ თბილისის „დინამოს“ სახელით თავის დროზე გამოდიოდნენ აფხაზები ძიაფშპა, დარასელია, ცვეიბა; რუსები – პანიუკოვი და დოროხოვი; ოსები – გუცაევი, კალოევი, ცხოვრებოვი, ზაზროევი, ბერძნები – ვარდიმიადი, გრამატიკოპულო, ილიადი, მაგრამ ისინი ყველანი გაიზარდნენ და ფეხბურთელებად ჩამოყალიბდნენ საქართველოში, ქართული ფეხბურთის სისხლი და ხორცი იყვნენ, მიუხედავად იმისა, თუ კერძოდ სად დაიბადნენ – ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, გაგრაში თუ ზუგდიდში...

ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები: როგორ შევხვდებოდი იმ ამბავს, ვთქვათ, თბილისის „დინამოში“ ფეხბურთის ისეთ ვარსკვლავებს რომ ეთამაშათ, როგორებიც არიან მესი, რონალდუ, მბაპე და „ძმანი მათნი“? მათი თვალის მიდევნება, ცხადია, ისევე საინტერესო იქნებოდა, როგორც ახლა, უზადო ოსტატობით აღფრთოვანებაც იგივე იქნებოდა, მაგრამ „ჭკუიდან გადასვლა“ იმის გამო, რომ ისინი (ცხადია, ჰიპოთეტურად!) თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობას მოუპოვებდნენ?! ნურას უკაცრავად!

რამდენიმე დღის წინათ ტელეარხ რუსთავი-2-ის ერთ-ერთმა კუნტრუშა ტელეწამყვანმა მანდილოსანმა მაყურებლებს გაუზიარა, რომ ფეხბურთის გამო სიხარულის კურცხალი თვალზე მხოლოდ ორჯერ მოსდგომია: ერთხელ 1981 წელს, როცა თბილისის დინამოელები გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეუფლნენ და მეორედ ახლა, როცა „ნაპოლი“ ხვიჩა კვარაცხელიასთან ერთად, იტალიის ჩემპიონი გახდა...

სრული სიგიჟეა, დამეთანხმებით!



**ვადიმ ანასტასიადი,**
**გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.**

# საუკეთესო საჩუქარი ფესტივალის სტუმრებისთვის

**თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე სტუმრებს ფოტოალბომი „აფხაზეთი XIX საუკუნე“ უსასყიდლოდ გადაეცემათ. ფოტოალბომი შეიქმნა აფხაზური მხარის თხოვნით და დასაბეჭდად მომზადდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, საქართველოში ლიეტუვის რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.**




ფესტივალი დღეიდან 28 მაისის ჩათვლით „ექსპო ჯორჯიის“ მე-11 პავილიონში გაიმართება.

# ჩაინა მოზესის ბენდი თბილისის მუსიკალურ ფესტივალზე

**ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში მე-8 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი გაიმართა. კონცერტს მაესტრო ვახტანგ კახიძე დირიჟორობდა.**

ფესტივალი მომღერლის, სიმღერების ავტორისა და პროდიუსერის, ჩაინა მოზესის, მისი ბენდისა და თბილისის სიმფონიური ორკესტრის ერთობლივი კონცერტით დაიხურა.

# ყველაზე ძვირადღირებული ნაყინი



**იაპონური ბრენდის Cellato-ს ნაყინი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე ძვირადღირებული მსოფლიოში. მისი ღირებულება 6 696 დოლარია. დესერტის ფასი ძვირადღირებული ინგრედიენტებით არის განპირობებული. ნაყინის შემადგენლობაშია საკვები ოქრო, ყველი პარმეზანი, საკე კასუ (საკეს ნალექი) და თეთრი ტრიუფელი, რომელიც იტალიის ქალაქ ალბაში იზრდება. თვითონ ამ სოკოს კილოგრამის ფასი 15 ათასს დოლარს აჭარბებს.**

ნაყინის რეცეპტზე მუშაობა ოსაკაში მდებარე რესტორნის შეფ-მზარეულს 1,5 წელი დასჭირდა. Cellato-ში აღნიშნავენ, რომ დესერტს მდიდარი გემო და ტექსტურა აქვს. დეგუსტაციისას პირველ რიგში თეთრი ტრიუფელის გემო და არომატი იგრძნობა, შემდეგ კი პარმეზანი. ბოლოს კი პირში საკეს გემო რჩება.

# ყველაზე ძვირადღირებული უძრავი ქონება ბიონსესია...





**ბიონსემ და ჯეი ზიმ კალიფორნიაში სახლი 200 მილიონ დოლარად შეიძინეს. ეს აშშ-ის ამ შტატში ოდესმე გაყიდული ყველაზე ძვირადღირებული უძრავი ქონებაა.**

მუსიკოსების მფლობელობაში ახლა წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ვილაა, რომლის ფართობიც 2 800 კვადრატული მეტრია. სახლი ცნობილი იაპონელი არქიტექტორის, რადაო ანდოს პროექტით არის აშენებული. ჯეი ზის და ბიონსეს ასევე ეკუთვნით ვილა ბელ-ეირში, რომელიც მათ 88 მილიონ დოლარად შეიძინეს.

# მეორე კომერციული მისია კოსმოსში

**SpaceX-ის ხომალდი Crew Dragon, რომელსაც „ფრიდომი“ დაარქვეს, საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე წარმატებით ჩაფრინდა.**

ეს კომპანია Axiom Space-ის მეორე კომერციული მისიაა. Crew Dragon-ის ბორტზე ეკიპაჟის 4 წევრი იმყოფებოდა, მათ შორის პირველი ქალი საუდის არაბეთიდან კოსმოსში – რაიანა ბარნავი. ეკიპაჟის ხელმძღვანელი 63 წლის პეგი უიტსონია - NASA-ს ყოფილი ასტრონავტი. ეკიპაჟის წევრები ასევე არიან ამერიკელი ბიზნესმენი და მფრინავი ჯონ შოფნერი და საუდის არაბეთის არმიის პილოტი ალი ალქარნი. Axiom Space-ის მისიის ფარგლებში ეკიპაჟი 20-ზე მეტ ბიოლოგიურ, სამედიცინო, ტექნოლოგიურ და საგანმანათლებლო ექსპერიმენტს ჩაატარებს. დედამიწის ორბიტაზე ფრენების გარდა, Axiom Space-ი აშშ-ის მთვარის მისიაში მონაწილეობს, როგორც პროგრამა Artemis-ის ასტრონავტებისთვის სკაფანდრების მწარმოებელი.





**ლიანა სუთიძე,**
სტუ-ს პროფესორი

# სიცრუის კასკადი ბექა ქურხულის „შემოქმედებაში“

## ვინ რისთვის სწავლობს წერას?

**„გაზეთი და ტელევიზია ყოველთვის როდი ეუბნება სიმართლეს ხალხს. ბინდაც ეუბნებოდეს, უკრიტიკოდ დარჩენილი სიმართლე მაინც ნაკიანია, ჩრდილოვანი, არასრულყოფილი“, – ეს ჩვენი გენიოსი მწერლის, ოთარ ჭილაძის სიტყვებია და მეც, ერთმა ჩვეულებრივმა მკითხველმა და მოქალაქემ, გადავწყვიტე კრიტიკულად განვიხილო პუბლიკაცია (ინტერვიუ), რომელსაც ორი მთლიანი გვერდი დაუთმო ერთ-ერთმა ბეჭდურმა გამოცემამ. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ სტატიის დაწერამდე უკვე ნანახი და მოსმენილი მაქვს იმ ახალგაზრდა კაცის სასამართლო პროცესი, რომელმაც დაუნანებლად გადაწვა და გაანადგურა სახელმწიფო ქონება და დაუნანებლად გაიმეტა პოლიციელები სასიკვდილოდ. ასევე მოვისმინე პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში.**

**პუბლიკაციაშიც, სასამართლოზეც და პრეზიდენტის სიტყვაშიც ნაწილობრივ არის აღიარებული სიმართლე. ასეთ დროს, როგორც წესი, ნაწილობრივ სიმართლეს სიცრუის კასკადი მოსდევს ხოლმე და ასეა ბექა ქურხულის ინტერვიუშიც.**

სიმართლეა წინა ხელისუფლების მიმართ პრეზიდენტის ნათქვამი და ფაქტები სასამართლოდან, რაც შეეხება მოქმედ ხელისუფლებას, **„დაფეთებულებმა ერთ შეცდომას მეორე, უფრო უარესი მიუმატეს და უაზროდ და უადგილოდ დაიწყეს მშვიდობიანი მიტინგის დარბევა“,** – წერს ბატონი ქურხული (რაც შეეხება „მშვიდობიანი მიტინგის უაზრო და უადგილო დარბევას“, ამას მოგვიანებით დავუბრუნდები).

### აუღეს თუ არა ალღო სიმართლეს ქართველმა მწერლებმა და ვინ არიან ისინი?

ისიც ხომ სიმართლეა, რომ ინტელიგენცია და მათ შორის მწერლებიც, ისევე, როგორც მთლიანად ქართველი საზოგადოება, სამწუხაროდ, ორად (თუ მეტად არა) არის გახლეჩილი და ერთმანეთს დაპირისპირებული. **მაინც, ვინ არიან ახლა ის „მწერლები, მთარგმნელები და ლიტერატორები“, რომლებიც „ქვეყნისა და ერთმანეთის სადარაჯოზე მართლა მგლების ხროვასავით დგანან“ (ქურხულის სიტყვებია). აი ისინიც, მწერალი ქალები: კატო ჯავახიშვილი, დეა მეტრეველი, ქეთი ნიჟარაძე, ხათუნა თავდგირიძე, თეონა დოლენჯაშვილი, რომლებმაც, ქურხულის თქმით, „მტკიცე და გამბედავი პოზიცია დაიკავეს აქციაზე“.**

ავტორი რატომღაც არ ახსენებს მწერალ მამაკაცებს, თორემ სათავეში ალბათ ლაშა ბუღაძეს ვიხილავდით. საერთოდ კი, ასეთი 50 წელს მიღწეული უცნობი მწერლების მრავალათასიან სიას რომ ვხედავ, ყოველთვის აკაკის სიტყვები მახსენდება, ვარდენ ღვანკითელს რომ მიმართა: **„წერე, წერე, ჩემო ვარდენ,. მტერს დაასე ისარიო, თუ მწერალი არ გამოხვალ, წერას მაინც ისწავლიო“...**

არ ვიცი, ისწავლეს თუ არა წერა – ჩემს ნაცნობ-ახლობლობაში მათი შედევრები არავის წაუკითხავს – ის კი ვიცი, რომ მათი უმრავლესობა იმ არასამთავრობოებშია მოკალათებული, რომლებსაც სწორედ რომ არ აწყობთ გამჭვირვალობა, რათა საზოგადოებამ არ იცოდეს არც მათი დაფინანსების რაოდენობა და მით უმეტეს ის, თუ რა მიზანს ისახავს ესა თუ ის პროექტი, რომლებსაც ენჯეოები ახორციელებენ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინკოგნიტოდ დარჩნენ პროექტების განმახორციელებლები და ბენეფიციარები, რომელთა შორისაც მრავლად არიან ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, ექსპერტებს და ა.შ. უწოდებენ.

**აი, რატომ იდგნენ ეს მწერლები ასე მედგრად აქციაზე და აპროტესტებდნენ იმას, რაც ბოლომდე ან საერთოდ არ წაუკითხავთ და უბრალოდ ლომჯარიების, გიგაურების, მაქარაშვილების, პატარაიების, მშვენიერაძეების და სხვათა ინსტრუქციებს ასრულებენ. აი, როგორ აუღო ალღო სიმართლეს ბექა ქურხულმა და მისმა სანაქებო მწერალთა ჯგუფმა.**

**„გოროტების სათავე არასწორი ინფორმაციაა“,** – ბრძანებს ოთარ ჭილაძე. ცხადზე ცხადია, რომ „ოცნებამ“ შეცდომა დაუშვა და იჩქარა, საზოგადოებას არ მიაწოდა მომზადებული კანონპროექტის სრული განმარტება და შინაარსი, და ვერც სახელი შეურჩია მისაღები. ამით ისარგებლეს რადიკალურმა ოპოზიციამ და არასამთავრობოების მდიდარმა ნაწილმა და გამოუშვეს სიცრუის კასკადი, გათვლილი შეუმზადებელ საზოგადოებაზე. ყველაზე გაუმჭვირვალე და მდიდარი არასამთავრობო სექტორი მტრულად შეხვდა კანონპროექტს, მათ კი „მტკიცედ და გაბედულად“ შეუერთდა მწერალთა ერთი ჯგუფი. „ამ კანონის მიღებით აღარ დაფინანსდებიან სტუდენტები, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფები, დაიხურება უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ ქველმოქმედებასო“, – ასეთი ტყუილებით მოწამლეს ახალგაზრდების ნაწილი და ნაცების ხელმძღვანელობით, ორგანიზებულად შეუდგნენ რუსთაველის გამზირის რბევას.

**„ამიტომაც არის მათი პროტესტი ასეთი კეთილშობილური, სუფთა და თავზეხელაღებული“,** – ასკვნის ქურხული.

**არა, აქციაზე არ იდგა მთლად გნელი, გაუთვითცნობიერებელი ხალხი, რომელმაც ეს სიცრუე დაიჯერა. ძირითადად ეს იყო სტუდენტობა, რომელიც სიმართლის მოსასმენად მივიდა და დარჩა მოტყუებული და გამოყენებული. როგორც უკვე აღვნიშნე, აქციაზე ძირითადად იმყოფებოდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელთა საქმიანობასაც ფარდას ახდიდა კანონი, მივიდა წინასწარ შემზადებული, ხელისუფლებასთან საბრძოლველად, შეიარაღებული მოლოტოვის კოქტეილებით, ქვებით და ვინ იცის კიდევ რით. ასეთი ახალგაზრდები, რომლებსაც ქურხული უწოდებს „ფანტასტიკურს“, „გაარღვევენ ბოლო, მეხუთე ბარიკადას“ და არც თვითონ აპირებს გვერდიდან ყურებას. ბოლომდე მივეხმარებით, ჩხუბიც ვიცით და ბინებაცო, – წერს იგი და რას გულისხმობს „ბოლომდე“-ში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ეს არის ის სიმართლე, რომელსაც კარგად აუღო ალღო ბატონმა ქურხულმა რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად.**

სწორედაც რომ ფანტასტიკური იყო იმ ახალგაზრდების მოქმედება, რომლებიც პოლიციელების მისამართით ისროდნენ ქვებს, მოლოტოვის კოქტეილებს, აყირავებდნენ და წვავდნენ მანქანებს, გააჩინეს ხანძარი პარლამენტში და ისეთი წარწერები დატოვეს, რომლებსაც, უკაცრავად და, ფერმის ღორიც თვალს აარიდებს.

და თქვენ იცავთ მათ, არ გინდათ, რომ დაისაჯონ და მიიზღოთ კანონის შესაბამისად. ეს კარგად გამოჩნდა ვინმე გრიგორიადისის სასამართლო პროცესზე.

**„ჩვენმა ახალგაზრდებმა ნათლად დაგვანახეს, რომ ნაცებიც და ქოცებიც, ეს ერთი ჯოხის ორი ბოლო, სამუდამოდ და სამარცხვინოდ ჩაბარდნენ წარსულს, რომ ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ძეგლთან შეკრებილებს ჩაესმით ილიას „მომავალი თქვენია“ და აკაკის „და აწ კი ახალგაზრდებო, გამოდით, თქვენი ჭირიმე“,** – ხანდახან, ათასში ერთხელ, დიდ წინაპრებსაც იშველიებენ, ოღონდ ეს მოშველიებაც შერჩევითია, დამახინჯებული და მერკანტილური.



კარგია, ჩვენი სახელოვანი წინაპრების სიტყვები რომ გვახსოვს, მაგრამ რა კეთდება იმისათვის, რომ ეს ახალგაზრდობა ამ ურთულეს დროსა და სივრცეში მზად იყოს გლობალური გამოწვევების დასაძლევად?! აქ კი უფროსი თაობის მაგალითია საჭირო. საუბედუროდ, იმ ჯოხის ერთმა ბოლომ სამარცხვინო ფურცლები ჩაწერა და „ცოცხებითა“ და ორი გვამის მოთხოვნით („პრემია იქნება დიდი“) შევიდა საქართველოს ისტორიაში.

**ამ სტატიის დაწერა მაშინ გადავწყვიტე, როდესაც ვნახე და მოვუსმინე, თუ როგორ იცავს ფაშისტური სამეული ხულიგანს, რომელმაც პოლიციელი დასაწვავად გაიმეტა, საქართველოს ეროვნული, ხუთჯვრიანი დროშა კი – ასფალტზე სათრევად.**



ჯოხის მეორე ბოლოზე რესპონდენტმა ობიექტური ბალანსის ილუზიის შესაქმნელად ე.წ. ქოცები დასვა, რომელსაც „უნიათო და გაბითურებული, უმწეო და გაკოტრებული“ უწოდა. ორი მხარე ყოფილა თურმე აქციაზე: ერთი – ხელისუფლების, თავის მომხრეებთან ერთად და მეორე – საქართველოს მოწინავე საზოგადოება. სად გააქრო ავტორმა მესამე, თუ არა პირველი – რადიკალური ოპოზიცია და მათი მხარდამჭერები?

**„სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე არ მიგრძვნია, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ სამოქალაქო დაპირისპირებას, თუნდაც გარედან პროვოცირებულს, მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალა ჭირდება. აქ კი, ერთ მხარეს გაკოტრებული, უმწეო ხელისუფლება... მეორე მხარეს კი – საქართველოს საზოგადოების უდიდესი ნაწილი, მეცნიერები, სტუდენტები, მწერლები, ხელოვანები, სპორტსმენები“,** – ამბობს ქურხული.

**არადა, როგორ სურდათ ოპოზიციას და მათ მიერ წაქეზებულებს ორი გვამი! განა ვერ ვხედავდით, როგორ თათბირობდნენ ფოფხაძე, ვაშაძე და სხვა ადგილობრივი „ჩე გევარები“, რათა აქციის მონაწილეები პარლამენტში შეჭრილიყვნენ. საბედნიეროდ, ამ ბოროტ განზრახვას არ შეუერთდა აქციის მონაწილეთა საღად მოაზროვნე ნაწილი, ძირითადად სტუდენტობა და მეორე დღეს საკადრისი პასუხი გასცეს პროვოკატორ პოლიტიკოსებს. აქ კი სიმართლეს ვერ გაექცა ქურხული, თუმცა აქცენტი სტუდენტთა ე.წ. გამარჯვებაზე, რაც, ვითომდა მათ ხელისუფლებაზე მოიპოვეს, გააკეთა.**

**სიმართლეს ბოლომდე ვერ აუღო ალღო ბატონმა ქურხულმა, როდესაც ის წერს, რომ ხელისუფლება პრორუსულია და რუსული კანონის მიღება სურდა ქვეყნის ჯაშუშების გამოსავლენად. არც იმას მიიჩნევს სიმართლედ, რომ ეს ხელისუფლება ცდილობს ქვეყანას აარიდოს ომი და ამბობს, რომ კონფრონტაცია უკრაინის ხელისუფლებასთან საქართველოს ხელისუფლების ბრალია.**

ასე, ერთი ხელის მოსმით გადაწერა ქურხულმა ისტორია – სტრატეგიული ობიექტები რუსეთისთვის „ოცნებას“ ჩაუბარებია, მასვე ჩაუბარებია რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი და მასვე უწოდებია ამ ტერიტორიებისთვის „ქვების გროვა“.

„ბედაურები გადაშენდნენ და ვირებს დარჩათ ბურთი და მოედანიო“, – წერს ქურხული. საინტერესოა, ვის გულისხმობს ბედაურებში და ვის – ვირებში. ერთი ბედაური არაყუნის ქილებში დამალული ტრაილერით შემოიპარა, მეორე ბედაური კი, გაიპარა და ახლა ქართული ჯარისთვის და ევროპელი პენსიონერებისთვის მოპარული ფულით აფინანსებს ნინო ჟიჟილაშვილის ჟურნალისტიკას, თაკო ჩარკვიანის პუბლიცისტიკას, კოტე ყუბანეიშვილის ლექსებს და საქართველოს დროშის ფეხქვეშ გათელვას იქ, სადაც საქართველოსთვის დაღუპული გმირები განისვენებენ.

**ქურხულს რომ ჰკითხო, გრიგორიადისია გმირი, მართალია ჰერაკლეს 12 გმირობამდე ბევრი უკლია, თუმცა „გუგლის, სერჩის და ორი ღერი ინგლისურის“ მცოდნე ადამიანი იოლად გაეცნობა მის ორ საგმირო საქმეს – როგორ დაჭრა საკუთარი მამა და როგორ გაიმეტა დასაწვავად პოლიციელები.**

და ქურხულის კიდევ რამდენიმე უსამართლო განცხადება: თურმე, ჩვენ კავკასიის მასშტაბით ყველაზე მცირერიცხოვანი და მოუვლელი არმია გვყავს. ამ განცხადების განხილვაში არ შევალ, სპეციალისტებისთვის მიმინდია, მაგრამ რატომ ავიწყდება (ივიწყებს).

იმედია, არავის დაავიწყდა კეზერაშვილის მიერ მიტაცებული 5 მილიონი და რაც არ ვიცით, ის კიდევ სხვაა.

არც მწვადის და არც შამფურის არდაწვის პრინციპით, ქურხული ალაგ-ალაგ სიმართლესაც გვთავაზობს, ოღონდ აქაც გულმოდგინედ იცავს ნაც-ენჯეოშნიკურ ნარატივს: „...ჩვენ ყველას ერთი მტერი გვყავს – კრემლი და რუსეთი, პრორუსული ხელისუფლება საქართველოში და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლებაში ყველა გასვრილი და დრომოჭმული ვიგინდარა უნდა დავიყენოთ გვერდით“, – წერს ქურხული. აქ მტრად მოიხსენიებს ხელისუფლებას, რომელსაც პრორუსულს უწოდებს და გაკვრით მიუთითებს 7 ნოემბერსა და 26 მაისზე და მათ გვერდით 20 ივნისისა და 7-9 მარტის ამბებზე.

**ამაზრზენია მის მიერ ასეთი პარალელების გავლება. უფრო მეტად ამაზრზენია, როდესაც მწერალი თავისი პოლიტიკური მიკერძოებულობის გამო ზღვარს ვერ ავლებს სიმართლესა და სიცრუეს შორის და საზოგადოებას თავზე ახვევს დამამცირებელ ეპითეტებს მისთვის არასასურველი პიროვნებებისა და ხელისუფლების მისამართით. სწორედ რომ ნაირ-ნაირი შარლატანები და სპეკულანტები აღზევდნენ წინა ხელისუფლების დროს და ივანიშვილის შედარება მეჯღანუაშვილებთან დიდი უზნეობაა, თანაც ყველაფრის მკადრებლად რომ მოიხსენიება.**

9 აპრილმაც ჩაიარა და დაანონსებულ მრავალათასიან აქციაზე რამდენიმე ასეული ადამიანი თუ მივიდა, მათ შორის ალბათ ის მწერლები, რომელთა ტექსტები არავის წაუკითხავს; ის ხელოვანები, რომელთა ხელოვნება არ გასცდენია საკუთარ სახლში მოწყობილ სალონებს... მარტო ბუღაძეების ხელოვნება და მათი აზროვნება რად ღირს! ცხადია, მივიდოდნენ ის მომღერლები, რომლებიც დითირამბებს უძღვნიან სპონსორებსა და დამფინანსებლებს, ისინი, ვინც სოროსის გამოგზავნილით იკვებებიან და რაღაც კარიერული ლუკმის მოლოდინში არიან, ის სპორტსმენები, რომლებიც საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩნენ...

**გმირები ბრძოლებში იბადებიან და არა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აქციებზე, როცა ფეხქვეშ თელავენ საკუთარი ქვეყნის დროშას და სხვა ქვეყნისას აფრიალებენ.**

თუმცა, რა უნდა ავუხსნა იმ მწერლებს, რომლებმაც წერა ვერ ისწავლეს, იმ მომღერლებს, რომლებიც ფონოგრამის გარეშე ნაბიჯს არ დგამენ, იმ პოეტებს, რომლებსაც მუზა მხოლოდ საპირფარეშოში აკითხავთ და იმ მხატვრებს, რომლებმაც სამხატვრო აკადემიის დიპლომები ერთმანეთის შეფურთხებით მოიპოვეს!



**„ამ ეტაპზე, რუსეთი საქართველოს დაპყრობით არ ემუქრება. ნაწილობრივ იმიტომ, რომ უკრაინაშია ომში ჩაბმული და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ეს აღარ სჭირდება – ძალიანაც კმაყოფილია იმით, რასაც საქართველოს მთავრობა აკეთებს, რომ საქართველო აღარ ცდილობს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებას“, – ეუბნება ამერიკული „ჯეიმსტაუნის“ ფონდის ექსპერტი ვლად სოკორი რადიო თავისუფლებას. რატომ ფიქრობს ასე პოლიტოლოგი, რომელიც მრავალი წელია ადევნებს თვალს საქართველოსა და რეგიონს? – სოკორმა, რომელიც რუსეთ-საქართველოს პირდაპირი ფრენების აღდგენისას თბილისში იმყოფებოდა, „რონდელის უსაფრთხოების კონფერენციაზე“, ვაჟა თავბერიძის კითხვებს უპასუხა.**

# ვლად სოკორი: რუსეთს სურს ღარიბი, კორუმპირებული, დაუცველი და მოწყვლადი საქართველო

**– რადიო თავისუფლება: ბოლოდროინდელი მოვლენებით დავიწყოთ – პრეზიდენტ პუტინის განკარგულებით, რუსეთში წასასვლელად ქართველებს ვიზა აღარ დასჭირდებათ, ასევე აღდგა პირდაპირი ფრენები – პირველი თვითმფრინავის ჩამოფრენას ერთნი ზეიმობენ, მეორენი კი აპროტესტებენ. რას ფიქრობთ ყველაფერ ამაზე, როგორ შეაფასებდით?**

**ვლადიმირ სოკორი:** ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ერისთვის შეძლეული ქრთამი – ქრთამი, რომლის მიზანიცაა, ერთი მხრივ, განხეთქილების დათესვა საქართველოსა და ევროკავშირს შორის, მეორე მხრივ კი, საქართველოს რუსულ ორბიტაზე გადასვლა. აბა, რად გინდათ ევროკავშირი? აგერ არიან ჩვენი, რუსი ტურისტები, ჩამოვლენ, ფულს დახარჯავენ... მთავარი გზავნილი ესაა. უნდა ველოდოთ რუსი ტურისტების მოზღვავებას საქართველოში, რაც კიდევ უფრო გაზრდის რუსეთის მოქალაქეების რაოდენობას ამა თუ იმ მოცემულ მომენტში საქართველოს ტერიტორიაზე. პატარა ქვეყნის კვალობაზე, უკვე ისედაც ძალიან ბევრი რუსია საქართველოში. რა თქმა უნდა, მათ შორის იქნებიან ფსბ-ს ჩანერგილი აგენტები – ზოგი ლტოლვილად მოგაჩვენებთ თავს, ზოგი კი გეტყვით, რომ ბიზნესმენია. გაიზრდება კორუფციული გარიგებები, არალეგალური ბიზნესი, კონტრაბანდა. საქართველოს სამთავრობო წრეებში მოტრიალე ფიგურებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ, რუსეთზე ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების გვერდის ავლით იხეირონ. მოკლედ, ძნელია ამაში რაიმე კარგის დანახვა.

**– სად მივყავართ ყველაფერ ამას – რეალურია მოლოდინი, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობაც შეიძლება აღდგეს?**

– დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალური აღდგენა იმის ნიშანი იქნებოდა, რომ საქართველოს მთავრობა შეეგუა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საბოლოოდ და უკანმოუბრუნებლად დაკარგვას. დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა 2008 წელს, როდესაც რუსეთი ღიად შემოიჭრა საქართველოში, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია – ახლა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ნიშნავს, რომ საქართველო ბედს შეურიგდა, ხელი ჩაიქნია და ამბობს: მოდით, ახალი თავი დავწეროთ – ისევ ვიმეგობროთ კრემლთან.

**– კრემლთან ამ მტრობა-მეგობრობაზე ჩაგეძიებით – როდესაც მმართველი პარტიის თავმჯდომარე კითხვას, „არის თუ არა რუსეთი მტერი“, სპეკულაციურს უწოდებს, რა დასკვნების გაკეთება შეიძლება აქედან?**

– ვფიქრობ, მან თავი აარიდა პასუხის გაცემას, და მშვენივრად ვხედავ, რატომაც მოიქცა ასე. პირველ რიგში იმიტომ, რომ ესმის: ქართველი ხალხის უმრავლესობას მაინც დასავლეთი ურჩევნია რუსეთში ყოფნას. ასეთია რეალობა და ქართველ პოლიტიკოსებს, მათ შორის, „ქართული ოცნების“ ლიდერებს, უწევთ ამისთვის ანგარიშის გაწევა. მეორე მხრივ, „ქართულ ოცნებას“ სურს ხელისუფლებაში დარჩეს, თანაც – განუსაზღვრელი დროით. ამას კი მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობის ხარჯზე თუ მოახერხებენ. ასე რომ, რუსეთის განაწყენება ხელს არ აძლევთ.

**– ორ სკამზე სურთ დაჯდომა?**

– სწორედ ასეა.

**– ზუსტად ამაზე მინდოდა მეკითხა – უკრაინის ომმა საქართველოსთვის ახალი გამოწვევა მოიტანა – წარსულისგან განსხვავებით, ახლა ვეღარ იტყვი: „ჩვენ ყველასთან მეგობრობა გვინდა, იმათთანაც და ამათთანაც“. გიწევს მხარე, ზანაკი აირჩიო. ამ რეალობაში, როგორ გგონიათ, მოახერხებს საქართველო ორ სკამზე დაჯდომას? შესაძლებელია თუ არა ჟონგლიორობა, ერთი მხრივ, ევროკავშირის და ნატოში გაწევრების თემებით და, მეორე მხრივ, პოლიტიკით,**




**რომელსაც მარგარიტა სიმონიანი გიქებს?**

– რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია. ამის მაგალითები უკვე გვაქვს წარსულში, თუნდაც იგივე უკრაინა 2014 წლამდე ან კიდევ მოლდოვა, თუ ბოლო ორი წლის მოვლენებს არ ჩავთვლით. მოლდოვის შემთხვევა განსაკუთრებით ჭკუის სასწავლებელია: ლამის 30 წელი, ვინც არ უნდა მოსულიყო მოლდოვის მთავრობაში, ყველა ამბობდა: მხარეებს ვერ ავირჩევთ, გეოპოლიტიკური თამაშები ჩვენი საქმე არ არის. რუსეთი გვჭირდება, და გვჭირდება ბევრი რამის გამო: მათ შორის, რუსული ბაზრის გამო და კიდევ იმიტომ, რომ რუსეთის გარეშე დნესტრისპირეთის კონფლიქტი არ გადაწყდება. რა თქმა უნდა, ყველა ეს მოლოდინი მცდარი აღმოჩნდა – რუსეთისგან ვერაფერი მივიღეთ. რუსეთი ოდნავადაც არაა დაინტერესებული დნესტრისპირეთის კონფლიქტის გადაჭრით – პირიქით, მას სურს, არასოდეს გავიდეს დნესტრისპირეთიდან. 30 წელიწადი იტყუებდა თავს მოლდოვა, სანამ პროევროპული ძალები არ მოვიდნენ მთავრობაში, დღეს კი მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი აქვს.

**– იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უწევს რუსეთის მხრიდან ყოველდღიური ეგზისტენციალური საფრთხის ქვეშ იარსებოს, შეგვიძლია თუ არა, ის, რასაც საქართველო აკეთებს, ცივსისხლიან პრაგმატიზმად მოვნათლოთ? რეალპოლიტიკის გადმოსახედიდან იქნებ გამართლებულია მათი პოლიტიკა? იჯექი წყნარად, შენთვის, შეეცადე ომის ხარჯზე ფული აკეთო, შემდეგ, როდესაც „გამოიდარებს“, მოგებულს მიემხრე, იმ იმედით, რომ ხელს არ გკრავენ. არსებობს თუ არა შანსი, რომ საბოლოოდ მოგვიწევს ამ ბრძენ ხალხს ტაში დავუკრათ იმისთვის, რომ ასე ოსტატურად, პრაგმატულად მართეს ხომალდი ამ ფათერაკებიან წყლებში?**

– მე გეტყვით, რისი შანსიც არსებობს – უფრო სწორად, რისი დაკარგვის – იმ შანსის დაკარგვისა, რომელსაც საქართველო 200 წელზე მეტხანს ელოდებოდა, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ერეკლე მეორის მეფობის პერიოდიდან – რუსეთისგან თავი დაიხსნას. 1991 წლიდან, საქართველოს ეს შანსი ჰქონდა, 21-ე საუკუნის დასაწყისში ის ახლოს იყო ამასთან, მაგრამ შემდეგ უკუსვლის რელსებზე შედგა. იმიტომ, რომ საქართველოს მოქმედმა მთავრობამ არათუ ის არ იცის, თუ რა შედის საქართველოს ეროვნულ ინტერესებში, ვეჭვობ, მათ ზოგადად არ იციან, რას ნიშნავს ეროვნული ინტერესი. ესაა მთავრობა, რომლის ერთადერთი ინტერესია, ხელისუფლება შეინარჩუნოს, ამას კი მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობით თუ შეძლებენ. ამიტომ თამაშობენ რუსეთის თამაშს. ამიტომაა, რომ საქართველოს მთავრობა თავს არ იწუხებს ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიღების, ან ნატოში გაწევრების უფრო მკაფიო პროცესის ლობირებაზე. მალე ვილნიუსში ნატოს სამიტი გაიმართება, საქართველოს მთავრობის მხრიდან კი ვერ ვხედავთ ვერანაირ მცდელობას, ბრიუსელს თავი შეახსენოს. მათ არ სურთ რუსეთის გაღიზიანება, ამის ნაცვლად, აჩვენებენ – აი, აღარ ვაკაკუნებთ ნატოს კარზე.

**– რაც შეეხება რუსეთს, თბილისში გამართულ უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადეთ, რომ სამეზობლოს მიმართ რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა ისტორიულია, არ შეცვლილა და არც შეიცვლება. რა ადგილი უკავია საქართველოს პუტინის ამ, როგორც თქვენ უწოდებთ, „მარადიულ რუსეთში?“**

– ამ ეტაპზე, რუსეთი საქართველოს დაპყრობით არ ემუქრება. ნაწილობრივ, ეს იმიტომ არ ძალუძს, რომ უკრაინაშია ომში ჩაბმული და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ეს აღარ სჭირდება – ძალიანაც კმაყოფილია იმით, რასაც საქართველოს მთავრობა აკეთებს, რომ საქართველო აღარ ცდილობს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებას.

**– უომრადაც მოახერხეს (დაპყრობა)?**

– სწორედ ასეა. რუსეთი კმაყოფილია იმით, რომ საქართველო ნაცრისფერ ზონად აქცია. მიუხედავად იმისა, თუ რას გვიმტკიცებენ დღეს დასავლეთში, რუსეთი არ აპირებს საბჭოთა კავშირის აღდგენას, მის გეგმებში არ შედის საქართველოს ე.წ. დიად რუსეთში შთანთქმა. რუსეთს სურს, საქართველო იყოს ნაცრისფერი ზონა დასავლეთსა და რუსეთს შორის – ზონა, რომელიც იქნება ღარიბი, კორუმპირებული, დაუცველი და მოწყვლადი რუსეთის აგრესიისა და მანიპულაციების წინაშე. რუსეთს სურს, სიტყვა ეთქმოდეს საქართველოს მართვაში. ახლანდელი ვითარებით რუსეთი სავსებით კმაყოფილია, ეს მათ აწყობთ. რუსეთს სურს, საქართველო იყოს სამხედრო თვალსაზრისით ყოვლად დაუცველი, განიარაღებული. მერე მთავრობა იტყვის – თუ მათ ჭკუაზე არ ვივლით, თუ რუსეთის მოთხოვნები არ დავაკმაყოფილეთ, რუსეთი დაგვემუქრება, ჩვენ კი დაუცველები ვართ – რა თქმა უნდა, დაუცველები ხართ: როცა არც საჰაერო თავდაცვა გაქვს, არც არტილერია, არც ჯავშანტექნიკა – რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის დაცვას ვერ შეძლებ. 2008 წლიდან მოყოლებული, საქართველო, პრაქტიკულად, სამხედრო ვაკუუმშია. ამას, რა თქმა უნდა, ხედავს რუსეთი და გემუქრებათ. მთავრობა ამით უბედური სულაც არ გახლავთ – პირიქით, ბედნიერები არიან ამით, რადგან ახლა შეუძლიათ, თქვან: სუსტები ვართ, მოწყვლადები, ამიტომ რუსეთი არ უნდა გავაბრაზოთ. ასე რომ, ამ მთავრობის ინტერესებში არ შედის, საქართველოს თავისი თავის დაცვა შეეძლოს. მათ სურთ საქართველო მოწყვლადი დარჩეს, რითაც გაამართლებენ საკუთარ ქმედებებს, როგორიცაა ევროპულ ინტეგრაციაზე უარის თქმა.

**ვაჟა თავბერიძე,**

**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.**

## რა ელის რუსეთის მხრიდან მაია სანდუს?

**რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ვლადიმერ ჯაბაროვის განცხადებით, მათ შეუძლიათ, მოლდოვის პრეზიდენტ მაია სანდუს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრან და მისი სახელი საერთაშორისო ძებნილთა სიაში შეიყვანონ.**

ჯაბაროვის თქმით, სანდუ შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტის მიმართ მუქარაში დაადანაშაულონ.



**„როგორც ჩანს, რუმინეთის მოქალაქეს, ქალბატონ მაია სანდუს, რომელიც მოლდოვის პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს, გონებრივი პრობლემები აქვს. რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტს ყველანაირი საფუძველი აქვს, სანდუს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრას რუსეთის პრეზიდენტის დაპატიმრების მუქარის ფაქტზე. იოცნებოს, რომ დიდებული რუსეთის მეთაური მის ქვეყანაში ჩავა, ქვეყანაში, რომლის ეკონომიკა და კეთილდღეობა სრულად მოსკოვზეა დამოკიდებული“,** – წერს ჯაბაროვი.

# „პატივი გვეცი და ფულსაც მიიღებ!“



**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა კომენტარი გააკეთა უკრაინის მიერ უნგრული OTP Bank-ის ომის საერთაშორისო სპონსორების სიაში შეყვანის შესახებ.**

უნგრეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტისა და ევროპის მშვიდობის ფონდისგან გადასაცემი სამხედრო დახმარების დაბლოკვას უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა პრინციპული საკითხი უწოდა და მხარი დაუჭირა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, პიტერ სიიარტოს პოზიციას.

**„საგარეო საქმეთა მინისტრი მართალია. თუ უკრაინას სურს მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა, მას არ შეუძლია ჩვენი კომპანიების შავ სიაში შეყვანა. არ შეიძლება, ორივე ერთდროულად გქონდეს. ფული თუ გინდა, იყავი კეთილგანწყობილი, პატივი გვეცი ჩვენ და ნუ დააწესებ სანქციებს ჩვენი კომპანიების წინააღმდეგ. სულ ეს არის“,** – აღნიშნა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა. 17 მაისს, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პიტერ სიიარტომ განაცხადა, რომ უნგრეთისთვის ძალიან რთული იქნება, რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების მორიგ პაკეტს შეუერთდეს მას შემდეგ, რაც უკრაინამ უნგრული ბანკი შავ სიაში შეიყვანა. მანამდე უკრაინის კორუფციის პრევენციის ეროვნულმა სააგენტომ გაავრცელა განცხადება, რომ უმსხვილესი უნგრული ბანკი ომის სპონსორთა სიაში შეიყვანა ბანკის ხელმძღვანელობის პოზიციის გამო, რადგან ის აგრძელებს რუსეთთან თანამშრომლობას.

სიიარტომ უნგრული ბანკის (OTP) „ომის საერთაშორისო სპონსორების“ სიაში შეყვანის შესახებ გადაწყვეტილებას „აღმაშფოთებელი“ უწოდა.

**უნგრეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დასძინა, რომ „სანამ ბანკი OTP დარჩება ამ სიაში, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება სანქციების მე-11 პაკეტზე მოლაპარაკებებში შესვლა“ და „ჩვენთვის ძალიან რთული იქნება ეკონომიკურ შეზღუდვებზე შეთანხმება, რომელიც დამატებით მსხვერპლს მოითხოვს“.**

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სოლომონ ბაგრატიონი ტიტანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სოლომონ ბაგრატიონი ტიტანიძე (პ/ნ 01025013579), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბანი, ს. ნორიო, გრუზულა ტბის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 81.09.14.456 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32360.59 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 25 მაისი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP89352623;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 893526

6. **მოვალე:** სოლომონ ბაგრატიონი ტიტანიძე (პ/ნ 01025013579), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14;
ნარგიზა ბაგრატიონი (პ/ნ 39001009212), თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №4, ბინა 14 და თბილისი,
ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14;
შპს „ლია თეა დათო ფოუნდეიშენი ინკ“ (ს/ნ 405060598), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14;
შპს „ჯორჯიან ჩერიტი ფონდ“ (ს/ნ 405211248), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP89352623; ლოტის ნომერი: 893526).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 ივნისის 12:00 საათამდე.

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კარლო ქობალავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კარლო ქობალავა (პ/ნ 42001025675), ქ. ფოთი, ბარათაშვილის ქ. №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ფოთი, ბარათაშვილის ქ. №5 (საკადასტრო კოდი: 04.02.07.084 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 69743.11 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 25 მაისი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP89353923;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 893539

6. **მოვალე:** კარლო ქობალავა (პ/ნ 42001025675), ქ. ფოთი, ბარათაშვილის ქ. №5;
მანანა ქობალავა (პ/ნ 42001025673), ქ. ფოთი, ბარათაშვილის ქ. №5;
ლევან ქობალავა (პ/ნ 42001014509), ქ. ფოთი, ბარათაშვილის ქ. №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP89353923; ლოტის ნომერი: 893539).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 ივნისის 12:00 საათამდე.

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლაშა ჯელიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლაშა ჯელია (პ/ნ 37001048399), სამტრედია, ს. დანირი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დიდველი, კორპ. 2, სართ. 3, ბინა №23 (საკადასტრო კოდი: 64.30.04.078.02.023 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22872.83 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 25 მაისი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP89351323;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 893513

6. **მოვალე:** ლაშა ჯელია (პ/ნ 37001048399), სამტრედია, ს. დანირი

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17თ 1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP89351323; ლოტის ნომერი: 893513).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 ივნისის 12:00 საათამდე.



# თენგიზ ცერცვაძე: ბოლო პერიოდში საქართველოში გამოვლინდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 8 შემთხვევა

**გოლო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 8 შემთხვევა, ძირითადად სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონებში. რვავე პაციენტი მოთავსდა ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში. ყველა გადარჩა. 6 მათგანი უკვე გაეწერა, 2 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას,** – ამის შესახებ ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის დირექტორი თენგიზ ცერცვაძე სოციალურ ქსელში წერს.



### „ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელეგა – რა უნდა იცოდეს მოსახლეოგამ ამ დაავადეგის შესახეგ?!

ცხელი სეზონის დადგომასთან ერთად საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტუალური ხდება ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გავრცელება. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება განეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს, რაც განპირობებულია ამ დაავადებით გამოწვეული მაღალი ლეტალობით:

**10-40% (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია), მაღალი გადამდებლობით და ეფექტიანი სპეციფიკური სამკურნალო მედიკამენტების/ვაქცინების პრაქტიკულად არარსებობით. განიხილება ანტივირუსული მედიკამენტის რიბავირინის გამოყენება, თუმცა მყარი მტკიცებულებები მის ეფექტიანობაზე ჯერჯერობით არ არის. ინფექციის რეზერვუარები არიან მრავალრიცხოვანი შინაური და გარეული ცხოველები (თაგვები, ზღარბები, კურდღლები, ძროხები, ცხვრები, თხები და სხვ.), რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ. ადამიანების 80-90% ინფიცირდება ტკიპების ნაკბენის, ასევე ინფიცირებული ცხოველის/საქონლის სისხლთან ან ქსოვილებთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად (მაგალითად ცხოველის დაკვლის დროს). ადამიანიდან ადამიანზე ვირუსის გადაცემა შესაძლებელია დაავადებული ადამიანის სისხლთან და/ან ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას (რისკი მაღალია სამედიცინო მანიპულაციების ან გვამთან შეხების დროს). შესაბამისად, რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან სოფლის მეურნეობის მუშაკები, მესაქონლეები, ცხოველთა სასაკლაოს მუშაკები, ვეტერინარები, სამხედროები, მედიცინის მუშაკები, მოგზაურები (ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ენდემიურ რეგიონებში) და საქართველოში ინფექცია ძირითადად გვხვდება სამცხე-ჯავახეთში (ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონები) და შიდა ქართლში (კასპის, ხაშურის, გორის რაიონები), თუმცა იშვიათად ერთეული შემთხვევები გვხვდება სხვა რაიონებშიც. ინფექციის შემთხვევები ძირითადად გვხვდება აპრილ-მაისიდან ოქტომბრამდე – როცა ტკიპები აქტიურდებიან. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2022 წელს ქვეყანაში დაფიქსირებული იყო ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 47 დადასტურებული შემთხვევა, მათგან 39 პაციენტი მკურნალობდა ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში, ხოლო 8 პაციენტი – სხვა კლინიკებში. 2022 წელს ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში ნამკურნალები პაციენტებს შორის არცერთი ლეტალური შემთხვევა არ ყოფილა. სხვა კლინიკებში მყოფი 8 პაციენტიდან გარდაიცვალა 3 პაციენტი.**

**შესაბამისად, 2022 წელს ქვეყანაში გამოვლენილ ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით პაციენტებში ლეტალობის მაჩვენებელმა შეადგენა 6,4%-ს, რაც ამ დაავადებისთვის ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ხოლო ბოლო 10 წლის მანძილზე ლეტალობის მაჩვენებელი საშუალოდ დაახლოებით 10-11%-ია, რაც ასევე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ევროპის ქვეყნებში. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება იწყება უეცრად და ახასიათებს შემდგომი სიმპტომები: თავის ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, ზოგადი სისუსტე, თვალების, სახის და კისრის მიდამოს სიწითლე, სისხლჩაქცევები (წითელი, ყავისფერი ან იასამნისფერი ლაქები კანზე), სისხლდენა ღრძილებიდან და შინაგანი ორგანოებიდან, გამონაყარი (პეტექიური, მაკულო-პაპულოზური) სახსრებისა და კუნთების ტკივილი, ტკივილი მუცლის არეში, ღებინება, სიყვითლე, სისხლში თრომბოციტოპენია, ლეიკოპენია და სხვ. შესაძლოა იყოს ფარდობითი ბრადიკარდია. დიაგნოზის დადასტურება ხდება ლაბორატორიული კვლევებით (PCR ტესტი, ანტისხეულები და სხვ.). მკურნალობა მოიცავს, როგორც ანტივირუსულ მკურნალობას (რიბავირინით), ისე დამხმარე და სიმპტომურ თერაპიას.**

**დაავადების პრევენცია გულისხმობს: ტკიპების საწინააღმდეგოდ პირადი პროფილაქტიკის დაცვას (სპეცტანსაცმელი, რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები); ტანსაცმლის და ფეხსაცმლის დამუშავებას აკარაციდებით (ტკიპების გამანადგურებლებით); კანის რეპელენტების (მწერების, ტკიპების დამაფრთხობლების) გამოყენებას; ავადმყოფი ცხოველის იზოლაციას; საქონლის დაკვლაში მონაწილეობისას ხელთათმანების გამოყენებას და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ტკიპა ადამიანის კანიდან მოცილებული უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მალე პინცეტის მეშვეობით, ისე რომ კანში არ ჩარჩეს ტკიპის პირის ნაწილები. ტკიპის მოშორების შემდეგ ნაკბენი ადგილი და ხელები საფუძვლიანად უნდა დამუშავდეს ალკოჰოლის შემცველი ხსნარით, ან საპნითა და წყლით. დაავადების დამძიმების და შესაბამისად, არასახარბიელო გამოსავლების თავიდან ასაცილებლად უაღრესად მნიშვნელოვანია მკურნალობის დროული დაწყება, ამიტომ პაციენტმა დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, რათა ექიმის მიერ მოხდეს დროული და ზუსტი დიაგნოსტირება და შესაბამისი მკურნალობის ჩატარება.**

**P. S. მინდა მივმართო აგრეთვე ოჯახის ექიმებს და კლინიკებს, რომ ვინაიდან ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს მაღალი ლეტალობით, სასურველია, რომ ამ დაავადებაზე საეჭვო ყველა ავადმყოფი გადაიყვანოთ ინფექციური პროფილის სპეციალიზებულ რეფერალურ კლინიკაში, რომელთაც აქვთ ამ დაავადების მართვის სერიოზული გამოცდილება“,** – წერს თენგიზ ცერცვაძე.



# ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

**25 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ამაღლებას.**

**აღდგომის შემდეგ უფალი იესო ქრისტე 40 დღის მანძილზე მიწაზე იმყოფებოდა და მოწაფეებს ათჯერ გამოეცხადა. ამ ქვეყნად ხილული ყოფნისას უკანასკნელ დღეს მან მოციქულებსა და მოწაფეებს უბრძანა, იერუსალიმს არ გაშორებოდნენ. ცნობილია, რომ იესო ქრისტე ელეონის მთაზე გაუძღვა მათ. სწორედ იქ უქადაგა და სასწაულებრივი ძალის მოვლინება აღუთქვა: „მიიღონ სული წმიდაი“.**

**საგულისხმოა ისიც, რომ უფალმა ელეონის მთაზე, ხელი დაასხა ყველას, აკურთხა და მათ თვალწინ ცად ამაღლდა. ამაღლების დროს იქ იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელიც.**

**ნიშანდობლივია ისიც, რომ ელეონის მთაზე, როდესაც ღვთისმშობელმა თავისი ძისა და ღმერთის ამაღლება იხილა, კაცობრიობის გამოხსნის საქმის აღსრულებით გაიხარა.**

**ჯვარცმული იესო ქრისტე მჯდომარეა მამის მარჯვნით, იგი ამაღლდა, რათა მოავლინოს სული ნუგეშინისმცემელი. მან თვით უქადაგა მოციქულებს, რომ სულიწმიდის გარდამოსვლას დალოდებოდნენ...**

**უფლის ამაღლებასთან დაკავშირებით ეკლესიამ დააწესა დღესასწაული, რომელსაც აღდგომის მეექვსე კვირის ხუთშაბათს აღასრულებს.**

**გიული ლიპარტია**

# ბინებზე მოთხოვნა შემცირდა, ქირის ფასმაც შემცირება დაიწყო!

**უძრავი ქონეგის ფასი კორექტირეგას განიცდის. ჯერ გაქირავების მიმართულებით შეინიშნება მცირედი შემცირება, რომელსაც შემდეგ ბინების სარეალიზაციო ღირებულებაც მიჰყვება. ფასთა კლების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ბაზარზე მოთხოვნამ შესამჩნევად იკლო, მესაკუთრეებმა კი ფასი ისევ მაღალ ნიშნულზე დატოვეს, რაც რეალობას არანაირად არ შეესაბამება. ამიტომ დროთა განმავლობაში მათ ბაზრის კანონების გათვალისწინება მოუწევთ.**

2023 წლის აპრილში თბილისში საცხოვრებელი ბინების ტრანზაქციების რაოდენობამ 2537 ერთეული შეადგინა და წინა წლის აპრილთან შედარებით 27%-იანი კლება გამოვლინდა. ბაზრის ზომა კი 22%-ით, 141 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა.

„ქოლიერს ჯორჯიას“ უძრავი ქონების ვებ-გვერდზე განახლებული ინფორმაციით, 2023 წლის აპრილში თბილისში ახალ პროექტებში ტრანზაქციების 31%-იანი კლება ფიქსირდება, გასული წლის აპრილთან შედარებით. ძველ პროექტებში კი, მაჩვენებელი 18%-ით არის შემცირებული.

ამასთან, თბილისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ახალაშენებულ ეკონომ სეგმენტის ბინებზე მოთხოვნა 42%-ით შემცირდა, მედიუმ და პრემიუმ სეგმენტში კი მაჩვენებლის 9% და 2%-იანი კლება დაფიქსირდა.

დედაქალაქში ახალაშენებული ბინების საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10%-ით გაიზარდა გარეუბნებსა და ფართო ცენტრში, ქალაქის ცენტრში კი – 1%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო ძველი ბინების საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი 5%-ით გაიზარდა გარეუბნებში, ფართო ცენტრში 2%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ქალაქის ცენტრში კი მაჩვენებელი 1%-ით შემცირდა.

**„თუ მესაკუთრეებს სურთ, რომ მათი ბინა სწრაფად გაქირავდეს, მაშინ ფასი უნდა დააკლონ. ისეთი მოთხოვნა აღარ არის, როგორც შარშან იყო. ღირებულება დარჩა უფრო მაღალი, ვიდრე რეალობაა ბაზარზე. ამიტომ, სავარაუდოდ, შეიძლება კიდევ ცოტათი დაიკლოს ფასმა, ეს ეხება ცენტრში მდებარე შედარებით პატარა ბინებს.**

**პანდემიის ორწლიან პერიოდში გასაქირავებელ ბინაზე ღირებულებამ დაიწია, შემდეგ არაბუნებრივად გაზრდილმა მოთხოვნამ ფასი გაზარდა და ახლა პანდემიამდელ პერიოდზე მაღალია. ბოლო 5 წლის განმავლობაში გასაქირავებელი ბინის ფასი ძალიან დიდია, თუმცა შარშანდელთან შედარებით, კლება შეინიშნება“,** – განაცხადა „კომერსანტთან“ **მარიამ ასათიანმა** და დასძინა, რომ ძირითადი მოთხოვნა ცენტრალურ უბნებზეა, შესაბამისად ცენტრში ბინების დაქირავება უფრო ძვირია.



უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის და ფასების ოდნავ შემცირება მართლაც შეინიშნება, თუმცა „ემქეი დეველოპმენტ გრუპის“ დამფუძნებელი **მალხაზ კუნელაურის** ინფორმაციით, ომის ფაქტორიდან გამომდინარე, შემოსული მიგრანტებისგან მოთხოვნა ისევ არსებობს.

**„ომის ფაქტორი და არსებული მიგრაცია მაშინაც იყო და ახლაცაა. ზუსტი ციფრების დასახელება არ შემიძლია, მაგრამ რომ ვთქვა თითქოს ამ კონტინგენტის მხრიდან მოთხოვნა ძალიან შემცირდა, არ იქნება მართალი. ქვეყანაში შემოსული მიგრანტებისგან მოთხოვნა ისევ არსებობს.**

**ყოველდღიურად თუ არა, ხშირი პერიოდულობით იმატებს სამშენებლო მასალების ფასი. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ რეგიონში შექმნილ საომარ მოქმედებასთან, არამედ თურქეთში (ერთ-ერთი ძირითადი მომწოდებელი) მომხდარ მიწისძვრასთანაც. არის სერიოზული კრიზისი, მეზობელი ქვეყნიდან მოწოდება შემცირდა და რიგ შემთხვევებში გაიზარდა ფასი. ბევრი ასეთი ფაქტორი სამშენებლო მასალების შემოტანაზე და ფასზე ახდენს გავლენას, რაც საბოლოოდ აისახება ბინების ღირებულბაზე“,** – განაცხადა კუნელაურმა.

სავარაუდოა, რომ შემოდგომიდან, როდესაც ტურისტული სეზონი და ახალი სასწავლო წლის პროცესიც დასრულდება, უძრავი ქონების ბაზარზე ცვლილებები უფრო თვალშისაცემი იქნება.

**ბექა დანელია**



# 105



# 2018 წლის სამი ისტორიული თარიღი:



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 105 წლისთავი (აღინიშნა 8 თებერვალს);



საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 105 წლისთავი (აღინიშნება 26 მაისს);


ნოემბერი მუასი ნოემბერი მუასი
საქართველოს რესპუბლიკა
ყოველდღიური გაზეთი
ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ – მთავრობა თუ გაზეთები? – უყოყმანოდ მეორეს ავირჩევდი! თომას ჯეფერსონი
გმადლობთ, მკითხველო!
სიცოცხლისათვის

პირველი რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური მოამბის – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პირველი ნომრის გამოსვლიდან 105 წლისთავი (აღინიშნება 25 ივლისს).

## ძვირფასო მკითხველო!

### ასეთი ისტორიული გაზეთი, 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა" არ უნდა დაიხუროს!

რადგანაც თავისუფალი მასმედიის, განსაკუთრებით ჟურნალ-გაზეთების შეჭირვებული მდგომარეობა დღევანდელ მთავრობას „არ ეხება", მთელი იმედები ისევ ჩვენს ერთგულ მკითხველზეა დამოკიდებული! საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს კიდევ ერთხელ გთხოვთ, უფრო მონდომებით გაისარჯოთ და ყოველდღიურად იყიდოთ ან გამოიწეროთ გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია და რომელიც თქვენ სულიერ ჟანგბადს გაწვდით.

### ხელმოწერისთვის მიმართეთ:

შპს „ელვა-ჯი"
595 38 26 26; 2382673, 2 382674;
შპს „პლანეტა ფორტე",
579 79 99 08, 599 94 73 11;

### მოგვმართეთ რედაქციაში:

ჭავჭავაძის პროსპექტი, №17 ე,
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის ოფისი.

შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა"
ტელ: 599 36 00 35; 577 77 27 17.

**ჩვენი ანგარიშია:**
**GE90BG0000000538329790**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5570; ევრო - 2.7559;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1674;
100 რუბლი - 3.1933; თურქული ლირა - 0.1279;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5041;
1000 სომხური დრამი - 6.6178

**ამინდი 25 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +28 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +30 |
| თბილისი: | ღამე | +16, | დღე +32 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge